MES 0 22 0000788891

11/07/2022

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.06.2022
სხდომის დაწყების დრო: 17:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:09 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: კახა შენგელია
საბჭოს მდივანი: გაგა გვენეტაძე
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 27 ივნისს, 17:00 საათზე.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო)წევრები:

1. კახა შენგელია - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

4. დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. გაგა გვენეტაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
7. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სხდომის მდივანი;
8. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. გია ლობჟანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. ელენე ჟურავლიოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს“ პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
12. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
13. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. ანა ფირცხალაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი.

საბჭოს მოწვეული წევრები:

1. ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და „მედიცინის სკოლის“ ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. ზაზა ავალიანი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
3. მაია ბიწკინაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
4. მარინე გელანტია - შპს „აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
5. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
6. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;

7. დავით კობეშავიძე - შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი;
8. ბიძინა კულუმბეგოვი - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
9. ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
10. ლევან რატიანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;
11. ნათია სხვიტარიძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
12. ნინო შარიქაძე - შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
13. გიორგი ჩილინგარაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;
14. ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
15. შორენა წიკლაური - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასისტენტ პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი.
16. **მაია ზალდასტანიშვილი** - სს "ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის" ინფექციური საავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსი, ექიმი ინფექციონისტი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნიკოლოზ ფარჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თორნიკე ბაქაქური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო შიოშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

თამთა ანთიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
თინათინ ბაჯელიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო გულიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი:

1. გიორგი მაჩაბელი - რექტორი;
2. ზვიად მურადაშვილი - პრორექტორი;
3. გოჩა თოდუა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. ირმა გრძელიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
2. ნინო ქიმერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
3. შოთა ფოთოლაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი;
4. თემურ პაპასკირი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;
5. დარეჯან გარდავაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. ნატალია ბარათელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მრჩეველი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):
ვაიდოთას ვილიუნასი;
მაირი გრეი ბროუნინგ სკოტი;
ელენე გიგინეიშვილი;

ელენე ხურციძე;
დიანა მჭედლიშვილი;
ნინო ამირანაშვილი;
დავით მაკასარაშვილი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 17:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე გადაამოწმა საბჭოს მოწვეული წევრების კვორუმი, რომლის შესაბამისადაც, მოწვეული წევრების ¾ ესწრებოდა სხდომას. შესაბამისად, მოწვეული წევრების შემთხვევაშიც, კვორუმის მინიმალური მოთხოვნები დაცული იყო. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილი განცხადების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· **კი**

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა საბჭოზე დამსწრე წევრებს გააცნო შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენცია, რომლითაც ითხოვდნენ სხდომის გადადებას. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 24 ივნისს ცენტრში დარეგისტრირდა სასწავლო უნივერსიტეტის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №700767), რომლითაც დაწესებულება ითხოვდა 27 ივნისს ჩანიშნული საკითხის გადადებას ერთი კვირის ვადით. როგორც წერილიდან ირკვევა, აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების საფუძველს წარმოადგენდა 27 ივნისის საბჭოს სხდომაზე დაწესებულების რამდენიმე წარმომადგენლის დაუსწრებლობა გარკვეული მიზეზების გამო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების რექტორს, რომ საბჭოსთვის მეწოდებინა არგუმენტაცია საკითხის გადავადების თაობაზე.
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, დაადასტურა შუამდგომლობა შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადავადების შესახებ, რადგან მის გარდა დაწესებულების ხუთიდან სამი წარმომადგენელი ვერ ახერხებდა სხდომაზე დასწრებას.
საბჭოს თავმჯდომარე, კახა შენგელია დაინტერესდა იყო თუ არა რექტორისთვის ცნობილი, რომ ვინაიდან 2022 წლის 28 ივნისს საგანმანათლებლო დაწესებულებას გასდიოდა ავტორიზაციის ვადა და მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ავტორიზაციის საბჭოს სხდომის გადადება არ გულისხმობდა ავტორიზაციის ვადის ავტომატურ გახანგრძლივებას.

შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად 28 ივნისის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულება დაკარგავდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლებას ავტორიზაციის ვადის გასვლის გამო, რაც იწვევდა დაწესებულებაში ჩარიცხული ყველა სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერებას.
დაწესებულების რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილი იყო საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასახელებული გარემოებები.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ, შესთავაზა საბჭოს თავმჯდომარეს, ასევე მოესმინათ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება საკითხის გადავადებასთან დაკავშირებით, შეძლებდნენ თუ არა ისინი დასწრებას საკითხის გადავადების ერთი კვირით გადავადების შემთხვევაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ დააზუსტა დაწესებულების რექტორთან თუ რა ვადით ითხოვდა გადავადებას. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა განმარტა, რომ გადავადებას ითხოვდა ერთი კვირის ვადით.
საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ვინაიდან 28 ივნისს დაწესებულებას უმთავრდებოდა ავტორიზაციის ვადა, ერთი კვირით გადავადების შემთხვევაში ირღვეოდა სტუდენტთა უფლებები, რადგან ყველა მათგანს სასწავლო სემესტრის მიმდინარეობისას შეუჩერდებოდა სტუდენტის სტატუსი, რაც გამოიწვევდა სასწავლო პროცესის შეფერხებას. ასევე, სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერება ნიშნავდა იმას, რომ ისინი ვეღარ ისარგებლებდნენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათებით (სტუდენტური ბარათი, ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვა). შესაბამისად, კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც საბჭოს რიგითი წევრისთვის არ იყო ნათელი და დამაჯერებელი დაწესებულების არგუმენტი სხდომის გადავადებასთან დაკავშირებით.
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განმარტა, რომ ის წევრები, რომელთა განხილვაზე დასწრება აუცილებელი იყო და შეეძლოთ ეპასუხათ კითხვებზე ვერ ახერხებდნენ სხდომაზე ჩართვას.
საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ დააზუსტა იყო თუ არა შესაძლებელი მათი დასწრება რამდენიმე საათის შემდეგ. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საბჭოზე ზეპირი განხილვა გრძელდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში, შესაბამისად, თუკი, დაწესებულების გარკვეული წარმომადგენლები ვერ ახერხებდნენ სხდომაზე ონლაინ ჩართვას 17:00 საათისთვის, იქნებ მათ ამის შესაძლებლობა ჰქონოდათ მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, რომ მათ გამოეყენებინათ აღნიშნული პერიოდი იმისთვის, რომ მომხდარიყო აღნიშნული პირების დისტანციურად ჩართვა საბჭოს მიმდინარეობისას.
დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან, მაგალითად ერთ-ერთ თანამშრომელს გარდაეცვალა ოჯახის წევრი და ამ მიზეზით ვერ ესწრებოდა განხილვას.
საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და სთხოვა დაეფიქსირებინათ მოსაზრება საკითხის განხილვის გადავადების შემთხვევაში ისინი მოახერხებდნენ თუ არა სხდომაზე დასწრებასა და მონაწილეობას. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან, ჯგუფის შემადგენლობაში თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის სტატუსით შედიოდა ორი საერთაშორისო ექსპერტი, მნიშვნელოვანი იყო მათი მოსაზრების მოსმენა აღნიშნულ საკითხზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვაიდოთას ვილიუნასმა და თანათავმჯდომარემ მაირი გრეი ბროუნინგ სკოტმა, განაცხადეს, რომ ერთი კვირის შემდგომ ისინი სავარაუდოდ ვერ მოახერხებდნენ სხდომაზე დასწრებას მათი გადატვირთული განრიგიდან გამომდინარე.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 17:17 საათი.
საბჭოს სხდომა განახლდა: 17:27 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის ერთი კვირის ვადით გადადების, დაკმაყოფილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 0
წინააღმდეგი: 29

გადაწყვეტილება:
არ დაკმაყოფილდეს შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის შუამდგომლობა შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვის ერთი კვირის ვადით გადავადებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად არ დააკმაყოფილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, ვინაიდან მათი მოსაზრებით, მოცემული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირდაპირ ზიანი ადგებოდა დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული სტუდენტების ინტერესებსა და უფლებებს, ვინაიდან ყველა მათგანს მიმდინარე სემესტრში უჩერდებოდა სტუდენტის სტატუსი, რაც მათ უზღუდავდა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შესაძლებლობას. ასევე, სტატუსის შეჩერების სტუდენტები ვეღარ ისარგებლებდნენ იმ შეღავათებით, რასაც მათ სახელმწიფო სთავაზობდა. ამასთან, საბჭოსთვის არ იყო დამაჯერებელი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვაზე ამავე დაწესებულების წარმომადგენლები ონლაინ ვერ ახერხებდნენ მონაწილეობას. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ დაწესებულების მხრიდან სხდომას ესწრებოდა - რექტორი, პრორექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომლებსაც თავიანთი სტატუსიდან, უფლებამოსილებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, უნდა შეძლებოდათ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ გარემოებებზე სრულყოფილი პასუხების გაცემა. ამასთან, კახა შენგელიამ კვლავ განმარტა, რომ თუკი, სხდომის მიმდინარეობისას ზეპირ განხილვას შემოუერთდებოდნენ დაწესებულების სხვა წარმომადგენლებიც, საბჭო მათაც მისცემდა შესაძლებლობას, დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები და არგუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი შემდეგი სახით:
1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილი განცხადების განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. **1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და მის დანართებს, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვაიდოთას ვილიუნასმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა თბილისისა და ბათუმში მდებარე სასწავლო კორპუსები ადგილზე და შეხვედროდა სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს 2022 წლის 2-4 მაისის პერიოდში. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები. თუმცა, ამ დოკუმენტებში არსებული ხარვეზების გამო, ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით 40 დოკუმენტი გამოითხოვა დაწესებულებისგან. მოთხოვნილი დოკუმენტები უშუალოდ დაწესებულებაში ვიზიტის მსვლელობისას იქნა წარმოდგენილი. დაწესებულების მიერ წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა მნიშვნელოვანი იყო ავტორიზაციის პროცესისთვის, თუმცა, დოკუმენტაციის გარკვეული ნაწილის არასრულყოფილად ქონის გამო ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა ვიზიტამდე, წინასწარ განეხილა რიგი საკითხები და მათზე გაემახვილებინა ყურადღება დაწესებულების მენეჯმენტთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დროს. ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების მიერ ცენტრში წინასწარ იყო წარდგენილი თვითშეფასების დანართების სახით, ასვე დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უშუალოდ ვიზიტის მიმდინარეობისას, ასევე ინფორმაცია, რომელიც ექსპერტ ჯგუფმა მიიღო დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიურების შედეგად და სასწავლო ფართების ვიზუალური დათვალიერება, საკმარისი იყო, რათა ექსპერტთა ჯგუფს სრულფასოვნად შეეფასებინა ავტორიზაციის მაძიებელი უმაღლესის საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სტანდარტთან მიმართებით.
ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ხარვეზები იძლეოდა საფუძველს, ექსპერტთა ჯგუფ ევარაუდა, რომ რამდენიმე მათგანი, როგორც ჩანს, დაწესებულების მიერ მომზადდა ნაჩქარევად და ხარვეზებით. ვაიდოთას ვილიუნასმა განმარტა, რომ ვიზიტის პირველ და მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა დაწესებულების თბილისის სასწავლო შენობაში, ხოლო მესამე დღეს - ბათუმის სასწავლო

კორპუსში. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფს განუცხადეს, რომ დაწესებულების მენეჯმენტს ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა, რა ფუნქციით გამოიყენებდა ბათუმის სასწავლო შენობას. ვიზიტის მსვლელობისას, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა და გასაუბრებოდა დაწესებულების ხელმძღვანელობას - მენეჯერულ რგოლს, რექტორს და პრორექტორს, თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ საბჭოს, ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებს, ფაკულტეტების დეკანებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ასევე კურსდამთავრებულებს. მონაწილეთა უმრავლესობა მზად იყო თანამშრომლობისთვის და პასუხს სცემდა ექსპერტის კითხვებს.

ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შეხვედრების ნაწილი ჰიბრიდულ რეჟიმში იყო ორგანიზებული, კერძოდ, ერთი ან ორი მონაწილე ონლაინ ესწრებოდა ინტერვიუს. თუმცა, იყო ასევე შეხვედრები, როდესაც მონაწილეთა უმრავლესობა შეხვედრას დაესწრო ონლაინ (შეხვედრა კურსდამთავრებულებთან). კომუნიკაციის ჰიბრიდული მოდელი მისაღები იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის, თუმცა ეფექტური დისკუსიის წარმართვა იყო რთული ტექნიკური ხარვეზების გამო - ონლაინ შეხვედრების დროს გამოყენებული იყო მხოლოდ ერთი ლეპტოპი და ინტერნეტის კავშირი და ხმა იყო საკმაოდ არასტაბილური.

ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბათუმის სასწავლო ფართში ინტერვიუზე მოწვეული პერსონალის ნაწილი იმყოფებოდა თბილისში და მათ ონლაინ რეჟიმში მოუწიათ შეხვედრაზე დასწრება. ასევე, სამი დღის განმავლობაში, არსებობდა ინტერვიუების თარგმნის საჭიროება, რამაც შეამცირა ექსპერტთა ჯგუფისთვის გამოყოფილი დრო შეკითხვებისთვის. თუმცა, მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიურების ფარგლებში ამოწურა ყველა ის საკითხი, რაც მათ დასკვნის შედგენისთვის ესაჭიროებოდათ.

ვაიდოთას ვილიუნასმა ასევე განაცხადა, რომ როგორც შეფასების პროცესში გამოიკვეთა, დაწესებულების მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სასწავლო უნივერსიტეტის ხედვის, მისიისა და ღირებულებების გადახედვისა და განახლებისთვის. განახლებული დოკუმენტის პროექტი წარედგინა უნივერსიტეტის საზოგადოებას. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სასწავლო უნივერსიტეტის - აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა. დოკუმენტის პროექტი გამოქვეყნდა მილენიუმის ვებგვერდზე და გარე დაინტერესებული მხარეები მოწვეულნი იყვნენ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად და თავიანთი მოსაზრებების და შენიშვნების გამოსახატად. სამუშაო ჯგუფმა შეაჯამა შიდა დისკუსიებისა და საჯარო მოსმენების შედეგები და აკადემიურ საბჭოსა და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინა ორგანიზაციის ხედვის, მისიისა და ღირებულებების განახლებული განაცხადი. აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა წარდგენილი განაცხადი. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრაზე, მოწვეულნი იყვნენ დაწესებულების ახალი პარტნიორები, გარე დაინტერესებული მხარეები - დამსაქმებლები. თუმცა, მათ ვერ შეძლეს კომენტარის გაკეთება მილენიუმთან თანამშრომლობის წინა გამოცდილებაზე. მათ არ ჰქონდათ წარმოდგენა სასწავლო პროგრამების შინაარსთან დაკავშირებით, რადგან პროგრამის შემუშავების პროცესში არ იყვნენ ჩართულნი. მათ ასევე ვერ გააკეთეს კომენტარი სტუდენტ-სტაჟიორთა და კურსდამთავრებულთა ხარისხსა და კომპეტენციებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, ასეთი ვითარება მიუთითებდა, რომ მილენიუმს არ ჰქონდა ძლიერი თანამშრომლობის ისტორია გარე დაინტერესებულ მხარეებთან. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მისია მხოლოდ ფრაგმენტულად ასახავდა უმაღლესი განათლების მიზნებს საქართველოში, განსაკუთრებით ქართული და საერთაშორისო კულტურული ღირებულებების ხელშეწყობისა და ჩამოყალიბების, ასევე დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით. მილენიუმის მისია ძირითადად ორიენტირებული იყო სტუდენტის პირადი ინტერესების, პოტენციალისა და კომპეტენციების განვითარებაზე და არა ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მილენიუმს შემუშავებული ჰქონდა და მოქმედებდა 3-წლიანი (სამოქმედო) და 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავდა ხუთ სტრატეგიულ მიზანს. მილენიუმმა 2021 წელს შეიმუშავა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, თუმცა რეალურად სტრატეგიული დაგეგმვა, მონიტორინგი და კონტროლი არ პასუხობდა ზემოაღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნებს. ვაიდოთას ვილიუნასმა საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ გაზომვადი (რაოდენობრივი) ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI) არ იყო მოცემული (ან ნაწილობრივ აკლდა) სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების/აღრიცხვის სისტემას, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა. ამოცანების შესრულებასა და მის ხარისხზე პასუხისმგებელი პირები ხშირად არ იყო გეგმებში განსაზღვრული. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ შესაძლებელია განისაზღვროს მილენიუმის სამომავლო განვითარების ძირითადი მიმართულებები, თუმცა ისინი ნათლად არ განმარტავენ სასწავლო უნივერსიტეტის მომავალს, მაგ., ბათუმის სასწავლო ფართის მომავალს, თუ რა პროგრამების განხორციელებას გეგმავდა მენეჯმენტი აღნიშნულ ლოკაციაზე. ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ განცხადება იმის შესახებ, რომ მილენიუმის სტრატეგიული მიზნები მიღწევადია, დროში გაწერილია და გაზომვადია, სრულად არ დადასტურდა წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არც მმართველი რგოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და დისკუსიებით. სასწავლო ფართი, რომელიც წარმოდგენილი იყო ბათუმში, არ უხსენებიათ ორგანიზაციულ სტრუქტურაში, თუმცა ახსენეს თვითშეფასების ანგარიშში, როგორც სასწავლო ფართი, რაც ნიშნავდა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს შეეძლო თვითშეფასების ანგარიშში ასახული ნებისმიერი პროგრამა განეხორციელებინა ბათუმში. თუმცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საჭირო აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელიც შეძლებდა სასწავლო პროცესის განხორციელებასა და მხარდაჭერას ბათუმში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დაიწყო გარკვეული შეფასებებისა და გამოკითხვების ჩატარება, თუმცა მისი შედეგები არ იყო ეფექტურად გამოყენებული ადმინისტრაციის მიერ. ასევე, სასწავლო უნივერსიტეტს უნდა ჩამოეყალიბებინა ნათელი და საფუძვლიანი მეთოდოლოგია სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის, რომელიც იქნებოდა კარგად შეწონილი უნივერსიტეტის რესურსებთან მიმართებით. ასევე, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს უჭირდათ საუბარი ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ძირითად პრინციპებზე, აკლდათ ცნობიერება ამ მიმართულებით. ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ დაწესებულებას უნდა უზრუნველყო პერსონალისთვის პირდაპირი წვდომა პლაგიატის აღმომჩენ პროგრამასა და სხვა მნიშვნელოვან ორგანიზაციულ მექანიზმებზე, რომლებიც ეხებოდა აკადემიურ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას. სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს უნდა აესახა თვითონ ამ ინსტიტუციაში არსებული რეალობა, მიდგომები და ხედვა.

ჯგუფის თავმჯდომარემ მესამე სტანდარტის შესახებ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა, დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან მიეღო ინფორმაცია, რომ დაწესებულებას ჰქონდა სრულფასოვანი გაგება საგანმანათლებლო პროგრამების, კურიკულუმის დიზაინის კომპლექსურობის, შეფასების პრინციპებისა და სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კუთხით. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა შეძლო შესაბამისი პროცესებისა და სტრუქტურების შექმნა იმისათვის, რომ რელევანტურად მომხდარიყო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელება. ამასთან, დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამები განვითარებულიყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირების საფუძველზე.

მეოთხე სტანდარტის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ აკადემიური პერსონალის მხოლოდ 35% იყო აფილირებული და რაც შეეხებოდა, ჯანდაცვის ფაკულტეტს ამ მიმართულებით კიდევ უფრო მცირე - მხოლოდ 24% იყო აფილირებული დაწესებულებასთან.

ამასთანავე აფილირებულ პერსონალში არ შედიოდა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელი. მისი თქმით, პერსონალს უჭირდა საუბარი შრომის ანაზღაურებაზე, წახალისების შესაძლებლობებსა და ზოგად მოთხოვნებზე. ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების სქემა მხოლოდ ჩანაფიქრის დონეზე არსებობდა და არ იყო დანერგილი. ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ იყო შესაბამისი უნივერსიტეტის საქმიანობასთან, მაგალითად - IT სპეციალისტის, ბიბლიოთეკარისა და ექიმის შემთხვევაში მათ არ მოეთხოვებოდათ ინგლისური ენის ცოდნა, მაშინ, როდესაც სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების 67% უცხოელები იყვნენ. ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, დაწესებულებას ასევე არ ჰქონდა ნათელი ხედვა, თუ როგორ უნდა დაეგეგმა სამომავლოდ აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

მეხუთე სტანდარტის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გარკვეული რეკომენდაციები სტუდენტთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების გათვალისწინების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ნომინალურად სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ დაწესებულების აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოს წევრები, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა რაიმე კონტრიბუციის აღმოჩენა, რაც სტუდენტებმა რეალურად შეიტანეს ინსტიტუციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე გაურკვეველია, სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში სტუდენტური თვითმმართველობის როლი და ჩართულობა. ამასთან, სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების დიდმა რაოდენობამ და ასევე, ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა შემუშავებული მდგრადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები უცხოელი, საერთაშორისო სტუდენტების შერჩევის მიზნით. საკონსულტაციო სერვისები არ იყო სისტემატიური, ინსტიტუციონალური ხასიათის და დიდწილად დამოკიდებული იყო ცალკეული სტუდენტებისა და პერსონალის ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და მიდგომებზე. ასევე, სტუდენტების მიერ საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა იყო მინიმალური. სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მაღალი დაუსაქმებლობის მაჩვენებელი და დაწესებულების მენეჯმენტში დამსაქმებლების ნაკლები ჩართულობა აჩვენებდა იმას, რომ ინსტიტუციას საკმაოდ ბევრი ჰქონდა სამუშაო.

მეექვსე სტანდარტის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მისიის შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის მიზანია შექმნას ოპტიმალური სასწავლო და კვლევითი გარემო სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის, რომელიც დაფუძნებული იქნება მულტიკულტურულ ღირებულებებზე. დაწესებულება კვლევას ათავსებდა გამოწვევად SWOT ანალიზში და აცხადებდა სურვილს, რომ გაეძლიერებინა კვლევითი აქტივობა. ზოგადად, კვლევითი უნარების იმპლემენტირება და ინტეგრირება სასწავლო პროცესში ხდებოდა საბაკალავრო თეზისებისა და სხვა სამეცნიერო აქტივობების საშუალებით. სასწავლო უნივერსიტეტის განცხადებით, არსებობდა ლიმიტირებული შიდა დაფინანსების სისტემა, კვლევითი აქტივობებისა და გამოქვეყნებების დასაფინანსებლად. დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დამოუკიდებელ ექსპერტთა კომისია განიხილავდა პროექტებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. აკადემიური საბჭოს წევრებს ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდებოდა ამ დაფინანსების ორგანიზება, თუმცა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად იყო ინფორმირებული აღნიშნული დაფინანსების სქემის შესახებ, ასევე არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ როგორ მოხდებოდა კვლევის შედეგების შეფასება და ფაკულტეტის მხარდაჭერა.

მეშვიდე სტანდარტის შესახებ ვაიდოთას ვილიუნასმა განაცხადა, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს საკუთრებაში ჰქონდა ორი შენობა თბილისსა და ბათუმში. ძირითადი შენობა, რომელიც გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისთვის მდებარეობდა თბილისში. თბილისის შენობა სამ სართულიანი იყო. ბათუმის შენობა განთავსებული იყო მრავალსართულიან შენობაში, რომელშიც დაწესებულებას ნაქირავებ ჰქონდა მხოლოდ ორი სართული. ამასთანავე,

მატერიალური რესურსები ბათუმის სასწავლო შენობაში არ შეესაბამებოდა რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლა-სწავლებისა და სწავლის შედეგებზე გასვლისათვის საჭირო პროცესს. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თბილისის შენობის ბიბლიოთეკას ჰქონდა წიგნების სერიოზული ნაკლებობა, პროგრამისთვის საჭირო წიგნები არ იყო საკმარისი, ლიტერატურა ძირითადად ელექტრონულ ფორმატში იყო ხელმისაწვდომი ან დაკოპირებული ვერსია იყო ვებ გვერდზე, ამასთანავე სტუდენტებს არ შეეძლოთ რესურსების მოპოვება სახლიდან ან სხვა ტერიტორიიდან გარდა თბილისის სასწავლო შენობისა. ასევე, თბილისში მდებარე შენობას გააჩნდა კომპიუტერები და ელექტრონული სისტემები, რომლებიც საკმარისი იყო მაქსიმუმ 30 სტუდენტის ერთდროული სარგებლობისთვის, თუმცა, ბათუმის სასწავლო შენობას ჰქონდა ბიბლიოთეკის მხოლოდ ცარიელი სივრცე, აღჭურვილი მხოლოდ რამდენიმე კომპიუტერით, სადაც არ იყო წარმოდგენილი წიგნები და სხვა საჭირო მოწყობილობები. თბილისის შენობაში Wi-Fi არ იყო სტაბილური, ასევე არ გამოიყენებოდა კორპორატიული მეილები, ტექნიკა არცერთ შენობაში მთლიანობაში არ იყო საკმარისი 1 450 სტუდენტისათვის. ასევე, დაწესებულების ვებ პორტალი, რომელიც შექმნილია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის შეფასებისა და ზოგადად პროცესის მხარდაჭერისათვის, ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ქართულ ენაზე. ინსტიტუციის შემოსავალი იყო მხოლოდ სწავლის გადასახადიდან და მხოლოდ ასეთი ფინანსური რესურსები არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო, როგორც მდგრადი, რადგან დაწესებულებას ჰყავდა ძალიან ბევრი სტატუსშეჩერებული სტუდენტი და ძირითადად დამოკიდებული იყო საერთაშორისო სტუდენტებზე ან მობილობით გადასულ სტუდენტებზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში შეიტანა გარკვეული კორექტირებები, მათ შორის შეიცვალა პირველი სტანდარტის შეფასება. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა 107 რეკომენდაცია და 8 რჩევა. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

• პირველი სტანდარტი - მისია და სტრატეგიული განვითარება - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

• მეორე სტანდარტი - ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან;

• მესამე სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამები - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან;

• მეოთხე სტანდარტი - პერსონალი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

• მეხუთე სტანდარტი - სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან;

•მეექვსე სტანდარტი - კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

• მეშვიდე სტანდარტი - მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ, მაირი გრეი ბროუნინგ სკოტმა, განაცხადა, რომ როგორც მისთვის ცნობილი იყო სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამამ ვერ მიიღო აკრედიტაცია, შესაბამისად, ჰქონდა შეზღუდვები, რა დონეზეც შეეძლო ექსპერტთა ჯგუფს შეეფასებინა აღნიშნული პროგრამა, თუმცა არსებულ ფარგლებში, გარკვეული რეკომენდაციები მითითებულია, როგორც მედიცინის, ისე სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებთან და ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა დასკვნა, რომელსაც საბჭო სავარაუდოდ ისედაც იცნობდა. მისი თქმით დაწესებულებამ ბოლო ავტორიზაციის პროცესიდან, საკმაოდ რთული გზა გაიარა, განიცადა მთლიანი რეორგანიზაცია, როგორც სტრუქტურული, ასევე ადამიანური რესურსებისა და მართვის მიმართულებით, მთლიანად შეიცვალა მართვის სტრუქტურა. განახლდა დაწესებულების იურიდიული ბაზა, მანამდე, როგორც კი დამთავრდა ავტორიზაციის პროცესი, ორგანიზაციამ გააკეთა იურიდიული ბაზის შეფასება. გარდა იმისა, რომ ჰქონდათ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, დამატებით გააკეთეს სიტუაციური ანალიზი, განახორციელეს იურიდიული ბაზის დაახლოებით 80%-ის ცვლილება, ასევე ახალი სტრუქტურის მიხედვით ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადდა ვაკანსიები, აიყვანეს ახალი თანამშრომლები, 6 თვის განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დაწესებულებამ, რაც ექსპერტებმაც დააფიქსირეს და პროგრესი ასახეს დასკვნაში.

დაწესებულების რექტორის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა საინტერესო რჩევები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება თუკი დაწესებულებას მიეცემა ფუნქციონირების საშუალება. რჩევები ძირითადად ორიენტირებული იყო სასწავლო უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებაზე, რაც აღწერით ნაწილში საკმაოდ თვალსაჩინოდ ჩანს. მისი გაკვირვება გამოიწვია დაბალმა შეფასებებმა, რომლებიც სტანდარტის მიხედვით გასცა ექსპერტთა ჯგუფმა, რაც თვალშისაცემი შეუსაბამობა იყო. ამასთან, გაცმული რეკომენდაციების ნაწილი შესაბამისობაში არ იყო საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ, ზოგიერთი რეკომენდაცია არ იყო გაცემული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, არცერთი რეკომენდაცია არ აღნიშნავდა რომელიმე სტანდარტის დარღვევას სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, ამიტომ მათთვის გასაკვირი იყო დაბალი შეფასებები. დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ, შესაბამისად დაინტერესდნენ, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული არგუმენტირებული პოზიცია.

უნივერსიტეტის პრორექტორის, ზვიად მურადაშვილის თქმით, ექპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ რაღაც დოკუმენტაცია ვერ მიიღეს, მისი მოსაზრებით, ორი წარმომადგენელი იყო ცენტრის მხრიდან და მიმართა მათ, სთხოვა დაედასტურებინათ, იყო თუ არა ყველაფერი გამოგზავნილი თვითშეფასების შესაბამისად და რა დოკუმენტაცია მოითხოვა წარმომადგენელმა და ვერ მიიღო. მას სურდა მოესმინა ექსპერტთა ჯგუფის პასუხები დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ განმარტა, რომ მას სურდა დაწესებულებას სრულად წარმოედგინა არგუმენტები და მოსაზრებები, თუ რაში არ ეთანხმებოდნენ ექსპერტების შეფასებებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ნინო ამირანაშვილის, მოსაზრებით, ჯობდა, რომ ესაუბრათ რეკომენდაციებზე, განეხილათ დაწესებულების წარმომადგენელთა პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეეცდებოდნენ პასუხი გაეცათ მათი თითოეული არგუმენტისთვის.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, თორნიკე ბაქაქურმა, რომელიც შეფასების პროცესს უწევდა ცენტრის მხრიდან კოორდინირებას, განმარტა, რომ სავარაუდოდ საბჭოს მსვლელობისას თარგმანის ხარვეზს ეხებოდა საკითხი, რადგან, როდესაც შეფასების დროს გამოთხოვილ იქნა დიდძალი დოკუმენტაცია, შეფასების დღეებში, ვიზიტის მსვლელობისას, მხოლოდ მისი ნაწილი მიიღეს დაწესებულებისგან, შესაბამისად, ყველაფერი, რაც მიიღეს უნივერსიტეტისგან, გაზიარდა ექსპერტთა ჯგუფთანაც, თუმცა მესამე დღეს, გვიან, ვიზიტის შემდგომ მიღებული დარჩენილი ნაწილები, როდესაც გაუზიარდათ ექსპერტებს, უკვე დამთავრებული იყო ინტერვიუს პროცესი და ე.წ. Follow Up კითხვებს ვეღარ დასვამდნენ და ეს იგულისხმებოდა მხოლოდ ჯგუფის თავმჯდომარის ნათქვამში. ცენტრის წარმომადგენელმა ბოლოს კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ყველაფერი, რაც ცენტრს გადაეგზავნა დაწესებულებისგან გაზიარდა ექსპერტთა ჯგუფთანაც. აღნიშნული ასევე დაადასტურეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმაც.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განაცხადა, რომ მან ვერ ამოიკითხა იგივე ჯგუფის თავმჯდომარის პასუხში, რადგან საუბარი იყო გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელსაც ხელი შეეშალა დოკუმენტაციის არ ქონის გამო, შესაბამისად, თუ რაიმე ვადა დაარღვიეს, ან არ მიაწოდეს, შესაძლებელი იყო სცოდნოდათ ამის შესახებ, რადგან, გამოდიოდა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხებზე.
ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, თორნიკე ბაქაქურმა, განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სჯობდა კიდევ ერთხელ ეკითხათ მოსაზრება ექპერტთა ჯგუფისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვაიდოთას ვილიუნასმა, განაცხადა, რომ შეფასების როგორც პირველ, ასევე მეორე დღეს იყო მოთხოვნილი გარკვეული დოკუმენტაცია, მაგალითად, ყოველწლიური გეგმები, რაც ვერ მიიღო უნივერსიტეტისგან. ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა, განმარტა, რომ კომპონენტების აღწერით ნაწილშიც ეწერა დოკუმენტაციის შესახებ, რომელიც არ იყო წარმოდგენილი, შესაბამისად, თუ დაწესებულებას ჰქონდა ეს დოკუმენტები შეეძლო აღენიშნა არგუმენტირებულ პოზიციაში და ვინაიდან არ აღნიშნა ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რომ დოკუმენტები არ არსებობდა.
დაწესებულების რექტორის, გიორგი მაჩაბელის, განცხადებით ძირითადი გაუგებრობა უკავშირდებოდა ე.წ. ბათუმის ფილიალს, რომელიც არ იყო სწორი ტერმინი, რადგან გაერთიანდა ორი იურიდიული პირი ბათუმისა და თბილისის, შესაბამისად შეერთდა ფართები. მისი განმარტებით, მილენიუმმა ავტორიზაციაზე ბათუმის ფართი გამოიტანა, როგორც დამხმარე ფართი და არა სასწავლო ფართი, ამ დროისთვის ბათუმის ფართი იყო დამატებითი შესაძლებლობა სტუდენტებისთვის, სადაც არ ტარდება ლექციები, არ იმართება სასწავლო პროცესი და აღნიშნული ფაქტი ნაჩვენებ იქნა საერთო კვოტის ფარგლებში. შესაბამისად მისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ გასცა ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია და ცარიელი ფართი რატომ შეაფასეს ავტორიზაციის ყველა სტანდარტით. შესაბამისად, მისთვის ასევე გაუგებარი იყო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, მილენიუმის სტრუქტურაში გათვალისწინებულიყო ბათუმის ფართი, რადგან საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 2-ის თანახმად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფილიალი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილი, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა, ტერიტორიულად განცალკევებულია ამ დაწესებულების მართვის ორგანოებისაგან. ანუ, ამ შემთხვევაში, დაწესებულებას იმავე წარმატებით შეეძლო ფართის აღება, თბილისში, ქუთაისში ან თელავში, შესაბამისად, დაწესებულებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციები. დაწესებულებამ მტკიცებულებად დაურთო ავტორიზაციის სახელმძღვანელო, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის მიერ.
ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, ბათუმის სასწავლო ფართთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მსჯელობა აღნიშნული საკითხის შესახებ, ვინაიდან, თვითონ დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ჰქონდა ბათუმის ფართი - , დაახლოებით 800მ^2, რომელიც მითითებული იყო, როგორც სასწავლო ფართი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ვერ განიხილავდა, ბათუმში არსებულ შენობას, როგორც მხოლოდ დამხმარე ფართს და იგი განიხილეს იმავე კრიტერიუმებით, როგორც შეაფასეს თბილისის ფართი, ამიტომ იყო განხორცილებული ვიზიტი ქ. ბათუმშიც. სტანდარტებთან შესაბამისობა უნდა განხორციელებულიყო მთლიან, საერთო ჭრილში, როგორც თბილისში, ასევე ბათუმში, ამიტომ გაჩნდა აღნიშნული რეკომენდაციები.
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით განაცხადა, რომ უსდ-მ უნდა მიუთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო, კვლევით, შემოქმედებითი თუ საშემსრულებლო საქმიანობის განსახორციელებლად მის ხელთ არსებული მთლიანი ფართის ოდენობა. ამასთან, ცალ-ცალკე უნდა გამოყოს სასწავლო და დამხმარე ფართის ოდენობა, როგორც დაწესებულებას ჰქონდა მითითებული და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო პასუხი, რომ ბათუმის ფართი იყო დამხმარე

ფართი, რაც არ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფმა და ბათუმის ფართი შეაფასეს, როგორც სასწავლო სივრცე. აქვე გაკეთდა განმარტება, რომ არცერთი პროგრამა ე.წ. ბათუმის ფილიალში არ განხორციელებულა. მან ასევე არ გაიზიარა შენიშვნა დაწესებულების ნათელი ხედვის შესახებ ბათუმის შენობასთან დაკავშირებით, მათ ძალიან კონკრეტულად ახსნეს, რომ იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება გადაწყვეტდა რომელიმე პროგრამის განხორციელებას ბათუმის ფილიალში ის მიმართავდა იმ პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრული იყო კანონით, საქმის კურსში ჩააყენებდა ცენტრს და წარუდგენდა შესაბამის დოკუმენტაციას, თუმცა, მათი მოსაზრება არ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფმა.

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ყველაფერი, როგორც დოკუმენტაცია, ასევე ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სესიების დროს, დაწესებულების წარმომადგენლები განსხვავებულ პასუხებს სცემდნენ ამ საკითხზე, ეს ეხებოდა, როგორც დისტანციურ სასწავლო პროცესს, ისე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილს. ექსპერტთა ჯგუფმა ყველაფერი წაიკითხა, ჩაინიშნა, განიხილა, ბევრი იმსჯელეს და ის სურათი მიიღეს, რაც ასახულია საბოლოო დასკვნაში.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განმარტა, რომ დაწესებულებამ ვერ მიიღო კითხვაზე პასუხი, რადგან მათ ძალიან კონკრეტული მოსაზრება წამოაყენეს, რომ კონკრეტული რეკომენდაცია არ შეესაბამებოდა ავტორიზაციის სახელმძღვანელოს, შესაბამისად ,დაინტერესდა თუ რომელი სტანდარტი იყო დარღვეული აღნიშნულთან მიმართებით, რადგან კომპონენტის შეფასება იყო ძალიან დაბალი და აინტერესებდათ არგუმენტაცია.

ინსტიტუციის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ ბათუმის საკითხი მნიშვნელოვანი იყო, რადგან, მთლიანად მეშვიდე სტანდარტის რეკომენდაციების 80% აგებული იყო ბათუმის ფილიალთან დაკავშირებით. შესაბამისად, თუ მოიხსნება აღნიშნული საკითხი და შეთანხმდებოდნენ, ეს ფილიალი იყო თუ დამატებითი ფართი, შესაბამისად იხსნებოდა რეკომენდაციებიც, რომლებიც გაცემულია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა, განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით დააკორექტირეს ტექსტში სიტყვა - „ფილიალი“, რადგან დაწესებულების მხრიდან იყო აპელირება ამ საკითხზე. ამასთანავე, ბათუმის ტერიტორია განიხილეს არა, როგორც ფილიალად, არამედ, როგორც სასწავლო ფართად, თუმცა აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებული ცვლილება არ იმოქმედებს რეკომენდაციების შინაარსზე.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ კონკრეტული კანონის მუხლი მოიყვანეს, რომლის თანახმადაც მნიშვნელოვნად იცვლებოდა რეკომენდაციების შინაარსი.

ექსპერტის, ელენე გიგინეიშვილის, განცხადებით, დაწესებულების თვითშეფასებაში წერია, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მისაღები სტუდენტების რაოდენობა განესაზღვრა 1 050-ით ქ. თბილისში და და 400-ით ქ. ბათუმში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი, დაინტერესდა ექსპერტთა დასკვნაში არსებულ 2.1.10 რეკომენდაციაზე, თუ როგორია ინსტიტუციის მაჩვნებელი ამ კუთხით და როგორ მოახდინა აღნიშნულმა რეკომენდაციამ ასახვა მთლიანად შეფასებაზე. ასევე, დაინტერესდა 5.1.2 რეკომენდაციის *(უზრუნველვყავით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ ორგანოებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა)* შესახებ, საერთოდ არ იყო წარმოდგენილი დაწესებულების მხრიდან, თუ ამ ნაწილში საჭიროებდა გარკვეული ძალისხმევის გაძლიერებას. მისი მოსაზრებით, ბევრი რეკომენდაცია იყო შინაარსობრივი, სტანდარტებისა და კომპონენტების შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვაიდოთას ვილიუნასმა, განაცხადა, რომ პირველ რიგში მას ძალიან კარგად ესმოდა სასწავლო უნივერსიტეტის, რადგან ძალიან დიდი ცვლილებები მოხდა, დაახლოებით ერთი წლის წინ გაცილებით უფრო რთული იყო სიტუაცია და ძალიან ბევრი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა, არსებული მდგომარეობა მაინც ბადებდა განვითარების

სერიოზულ საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ მენეჯმენტის კუთხითაც განახორციელა სერიოზული ცვლილებები, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდათ სამუშაო, ექსპერტთა ჯგუფს კი სჭირდებოდა შეეფასებინა ის მოცემულობა, რომელიც არსებობდა ვიზიტის პროცესში. ბათუმის ფართთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი გარემოება - აღნიშნული ფართი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში მოცემული იყო, როგორც სასწავლო ფართი, შესაბამისად, იგი ისევე უნდა შეესაბამებოდეს ავტორიზაციის სტანდარტებს, როგორც თბილისში მდებარე სასწავლო შენობა.

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარის, მაირი გრეი ბროუნინგ სკოტის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფი ეცადა, რომ მოეყვანა ყველაფერი ერთად, რაც მუშაობდა შედარებით კარგად და რის მუშაობასთან დაკავშირებითაც იყო გამოწვევები და ის მექანიზმები, რომლებიც საჭირო იყო საბოლოო მიზნების მისაღწევად. აღნიშნული მექანიზმები ვერ დაინახეს და როდესაც მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც შეუსაბამო სტანდარტის მოთხოვნებთან, ბუნებრივია გავლენას მოახდენდა სხვა სტანდარტებზეც, რადგან მენეჯმენტის ნაწილი პირდაპირ ახდენდა გავლენას ნებისმიერი სხვა სტანდარტების შესაბამის ნაწილზე. მნიშვნელოვანი იყო იმის გააზრება, რომ ავტორიზაციის სტანდარტები შინაარსობრივი კუთხით ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და ბევრი მოთხოვნა ერთმანეთისგან გამომდინარეობდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვაიდოთას ვილიუნასმა, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი საკითხი იყო, თუ როგორ აფასებდა მას დაწესებულება, რადგან კომპლექსური საკითხია და იგულისხმებოდა საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტების რაოდენობა, საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა, საერთაშორისო პროექტები, კვლევითი უნარები. ამ მიმართულებით სასწავლო უნივერსიტეტისგან წარმოდგენილი იყო გარკვეული გეგმები, მაგრამ არ იყო მოცემული შედეგები, რომლებზეც ექსპერტთა ჯგუფი მოახერხებდა მსჯელობასა და ანალიზს.

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, 2.1.10 რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ მონაცემები იყო ძალიან მწირი, ერთ სტუდენტის მონაცემი ნახეს, რომლის შესახებაც ვერ გაარკვიეს, თუ რომელ პროგრამაში იყო, როდის იყო და ა.შ. უბრალოდ ტრანსკრიპტი იყო წარდგენილი, შესაბამისად, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კონკრეტული მონაცემები არ უნახავთ. ინტერნაციონალიზაციის შესახებ მან ასევე განმარტა, რომ დაწესებულებას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, ამ ნაწილზე მუშაობდა ერთი ადამიანი, რომელიც რამდენიმე თვის დასაქმებული იყო დაწესებულებაში და რომელიც ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრა სამომავლოდ განსახორციელებელ გეგმებზე და ცოტახნით ადრე გაფორმებულ რამდენიმე ხელშეკრულებაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში დაწესებულებას ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი. ბათუმის სასწავლო ფართთან დაკავშირებით დიანა მჭედლიშვილი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ბათუმის ნაწილის არ გათვალისწინება პრაქტიკულად არ შეცვლიდა სტანდარტებისა და კომპონენტების შეფასებას, რასაც აჩვენებდა დასკვნის აღწერილობითი ნაწილი. თუმცა, მისი მოსაზრებით, აღნიშნულ საკითხზე ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ ცენტრს განემარტა უნდა განეხილა თუ არა ექსპერტთა ჯგუფს ბათუმის ფართი სასწავლო ფართად, როგორც ნაჩვენები ჰქონდა თავად დაწესებულებას თვითშეფასებაში.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა, განმარტა, რომ მისი მოსაზრებით, არასწორად მიდიოდა მსჯელობა, რადგან ბათუმის სივრცე დაწესებულებას თვითშეფასებაში მითითებული ჰქონდა, როგორც სასწავლო სივრცე, სხდომაზე კი აცხადებდნენ, რომ ეს იყო დამხმარე ფართი და არაფერი ხორციელდებოდა. დავით ბოსტოღანაშვილის მოსაზრებით, დაწესებულებას ბათუმის ფართი უნდა მიეთითებინა მაშინ მხოლოდ დამხმარე ფართი და ექსპერტთა ჯგუფი შეაფასებდა მას, როგორც დამხმარე ფართს, რომელსაც სასწავლო პროცესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მან დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ გადაწყვეტილებას იღებდა საბჭო, შესაბამისად განმარტებები სჭირდებოდა საბჭოს და არა დაწესებულებას, მათ ჰქონდათ ბევრი დრო, მათ შორის არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისათვის და აქედან

გამომდინარე, მისი მოსაზრებით, არ იყო სწორი რეჟიმი, რომ ექსპერტთა ჯგუფს უნდა აეხსნა დაწესებულებისთვის რაიმე დამატებით. მისი მოსაზრებით, დაწესებულებას ჰქონდა ყველანაირი საშუალება და დრო, რომ დაეფიქსირებინათ თავისი პოზიცია დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებსა და გარემოებებზე. ამის შემდგომ, საბჭოს წევრებს უნდა დაესვათ კითხვები და დაწესებულების წარმომადგენლებს უნდა ეპასუხათ ამ კითხვებზე.
საბჭოს თავმჯდომარე, კახა შენგელია დაეთანხმა საბჭოს წევრს და განმარტა, რომ მას არ სურდა დაწესებულებას დარჩენოდა რაიმე სახის უკმარისობის განცდა, რომ მათ არ მიეცათ შესაძლებლობა სრულად წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია ზეპირ მოსმენაზე.
უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას არ მოუთხოვია განმარტებები, ითხოვს პასუხებს იმ ფაქტობრივ მასალასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფმა, რაც შეეხება მტკიცებულებებს, რომ არ ყოფილა აღნიშნული ფართი მათ დოკუმენტაციაში, დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციაში ეწერა მტკიცებულებები - თვითშეფასება გვ. 93-94, დანართი 1 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების მიხედვით, ცხრილის სახით და ა.შ. ცნობარი აბიტურიენტებისთვის, სადაც პირდაპირ იყო მითითებული, რომ აღნიშნული ფართი იყო დამხმარე.
ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის შემდეგ დაწესებულებას საშუალება აქვს გარკვეულ პერიოდში განაახლოს თვითშეფასებასა და დანართებში მითითებული ინფორმაცია. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, როდესაც იგი წარმოადგენს საბოლოო თვითშეფასებასა და დანართებს, დოკუმენტაციაში ცვლილების განხორციელება აღარ არის დაშვებული. როგორც დაწესებულების რექტორმა განაცხადა, განხორციელდა დაწესებულებების რეორგანიზაცია და ორი იურიდიული პირი შეერწყა ერთმანეთს. აღნიშნული იურიდიული პირებიდან ერთი მათგანი საქმიანობდა ქ. ბათუმში და მეორე - ქ. თბილისში. შესაბამისად, როდესაც ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, დაწესებულებას განესაზღვრა ერთ წლიანი ვადა და ქ. თბილისში დადგინდა სტუდენტების ზღვრული რაოდენობა ცალკე და ქ. ბათუმში - ცალკე. გარდა ამისა, როდესაც დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ახალი საავტორიზაციო განაცხადი, მას შეეძლო, ფართის ნაწილში განეხორციელებინა ცვლილებები, მაგალითად სასწავლო ფართად მიეთითებინა - მხოლოდ თბილისში მდებარე ფართი ან მხოლოდ ბათუმში მდებარე ფართი, ან ორივე ერთად, ან სრულებით სხვა ფართი. თუმცა დაწესებულებამ მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მოცემულია ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან, კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის დასაწყისში და ბოლოში ორივეგან მითითებულია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მთლიანი ფართი, საიდანაც გამიჯნულია დამხმარე და სასწავლო ფართები. მოცემულ შემთხვევაში, სასწავლო და დამხმარე ფართებში, ორივეგან მოცემულია ქ. ბათუმში მდებარე შენობა-ნაგებობის ფართი. , აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით, ცენტრმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაგეგმა, როგორც თბილისში, ასევე ბათუმში, რაც დაწესებულებას წინასწარ ეცნობა და აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას რაიმე სახის პრეტენზია ცენტრში არ წარმოუდგენია. ბუნებრივია, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს ბათუმში აზრი არ ექნებოდა, თუ საუბარი იქნებოდა, მხოლოდ დამხმარე ფართზე, მაგრამ ვინაიდან, თვითშეფასების ანგარიშში ეს შენობა სასწავლო ფართად იყო მითითებული, მისი შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით უნდა დაედგინათ ექსპერტებს, რაც განხორციელდა კიდეც.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის გვ. 7-ზე მითითებული იყო, რომ დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში - თბილისი, ქსნის ქუჩა 35 – 1422,07 კვ.მ, ბათუმი, აღმაშენებლის 13 - 808,57 კვ,მ. შესაბამისად, გამოთქვა მოსაზრება, რომ ჯობდა დაწესებულებას განემარტა აღნიშნული საკითხი.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, სთხოვა საბჭოს წევრს დაეკონკრეტებინა იყო თუ არა სადმე მითითებული პროგრამა ბათუმის ფართთან დაკავშირებით, თუ არ ახორციელებს, მაშინ როგორ იქნება სასწავლო ფართი.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი არაფერ შუაში იყო, და სთხოვა თვითონ განემარტა მე-7 გვერდზე მითითებული ინფორმაცია. დაწესებულების რექტორი, გიორგი მაჩაბელი, დაინტერესდა თუ როგორ განიხილება სასწავლო პროცესი პროგრამის გარეშე.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებას შეეძლო პროგრამა ავტორიზაციის შემდეგაც მიეღო და დაეწყო პროგრამის განხორციელება ავტორიზებულ რეჟიმში.
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, სთხოვა საბჭოს წევრს დაეზუსტებინა თუ იყო სადმე მითითებული, რომ დაწესებულება ბათუმის ფართში ახორციელებდა პროგრამას. საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, მას სთხოვა, რომ თვითშეფასების მე-7 გვერდზე გაკეთებული ჩანაწერი განემარტა.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, 5.1.2 რეკომენდაციის შესახებ, სთხოვა სტუდენტ-ექსპერტს გაეკეთებინა განმარტება.
ექსპერტმა, დავით მაკასარაშვილმა, განაცხადა, რომ რეკომენდაცია პირველ რიგში გაწერილია დოკუმენტაციის მიხედვით, აღწერილობით ნაწილში გაწერილია თუ რა მტკიცებულებები მიაწოდა უნივერსიტეტმა, რა სტუდენტური ინიციატივები იყო გათვალისწინებული და უმეტესწილად დაფუძნებული იყო ინტერვიუებზე. მრავალ სესიაზე ჰქონდათ შესაძლებლობა დაწვრილებით გაევლოთ აღნიშნული საკითხი და აღწერილობითი ნაწილიდან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, სტუდენტები ნომინალურად არიან აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს წევრები. ინტერვიუებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა ვერ ნახეს ვერანაირი საფუძველი იმისა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულები.
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, დააზუსტა თუ რას ნიშნავდა, ექსპერტის მიერ აღნიშნული მოსაზრება, რომ სტუდენტები არ არიან აქტიურები, არც ფაკულტეტის და არც აკადემიურ საბჭოში. ექსპერტმა, დავით მაკასარაშვილმა, განაცხადა, რომ არ არსებობს მტკიცებულება იმისი, რომ მათი კონკრეტული ინიციატივები განხორციელებულა სასწავლო უნივერსიტეტში.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვა, 5.1.3 რეკომენდაციის შესახებ დაინტერესდა, ინტერვიუების პროცესში კონტიგენტში მოხვდა თუ არა რუსულენოვანი კონტიგენტი, თუ გამოიკვეთა ინფორმაციის დანაკლისი და საბჭოს ან რაიმე სხვა გზით ხომ არ შეუძლიათ თავისი მოსაზრების დაფიქსირება.
ექსპერტმა, დავით მაკასარაშვილმა, უცხოენოვან სტუდენტებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ პრობლემა იყო ინტერვიუებზე დასწრება, სულ ორი სტუდენტი ჩაერთო, ორივე ონლაინ იყო და ორივე ინგლისურენოვანი. რუსულენოვან სტუდენტებთან კომუნიკაცია არ ჰქონიათ ინტერვიუების განმავლობაში, შესაბამისად დაწვრილებით არც ამის გარკვევის შესაძლებლობა ჰქონდათ.
საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა, დაინტერესდა არსებობდა თუ არა უკუკავშირის სისტემა. ექსპერტმა, დავით მაკასარაშვილმა, განმარტა, რომ ძირითადად ამ ფუნქციას ასრულებდა კონსულტაციის სერვისი, ანუ კოორდინატორები, რამდენიმე ადამიანი მუშაობდა აღნიშნულ სერვისში და პირადი კონსულტაციისთვის სტუდენტი მიმართავდა საჭიროების შემთხვევაში.
საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა, დაინტერესდა ხომ არ წარმოებდა რაიმე სახის გამოკითხვები, სადაც შეეძლოთ აზრის დაფიქსირება სტუდენტებს.
ექსპერტმა, დავით მაკასარაშვილმა, განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰქონდა საკმაოდ დაწვრილებითი გამოკითხვები, რაც თვითშეფასებაშიც იყო ასახული, უბრალოდ, ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ შეგროვებული იყო მონაცემები, მაგრამ არ ხდებოდა მათი გამოყენება და ანალიზი.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა, დაინტერესდა ნახა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა კითხვარის ინგლისური/რუსული ვერსიაც თუ მხოლოდ ქართული ვერსიის ნახვა იყო შესაძლებელი.
ექსპერტმა, დავით მაკასარაშვილმა, განაცხადა, რომ კითხვარები მიწოდებული იყო მხოლოდ ინგლისურ და ქართულ ენებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია, პირველ სტანდარტთან დაკავშირებით. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ კვლავ შესთავაზა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველეყოთ სხდომაზე მათი დამატებითი წარმომადგენლების დასწრება.
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ ბევრი საინტერესო და დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაცია დარჩევა გაიცა, რადგან თუ დაწესებულებას მიეცემა საშუალება გააგრძელოს ის რეფორმები, რაც წამოიწყო, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული რეკომენდაციები, თუმცა არის რეკომენდაციები, რომლებსაც დაწესებულება არ ეთანხმება, მაგ., რეკომენდაციები და შეფასება მისიასთან დაკავშირებით. მისიასთან დაკავშირებული შენიშვნები იყო წინა ავტორიზაციის დროსაც, ფაქტობრივად არსებობდა რეკომენდაცია, რომ თავიდან დაწყებულიყო პროცესი და განსაზღვრულიყო მისია, სწორი ადგილი, ზუსტი მიზნები და ა.შ. მისი განმარტებით, ფუნქციონირებდა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ყველა დაინტერესებული პირი შედიოდა, მაგ., სტუდენტები, დამსაქმებლები, სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებმაც ძალიან ნაყოფიერად იმუშავეს მისიაზე და საბოლოო ჯამში აღნიშნული ტექსტის პროექტი იყო დაგზავნილი სტუდენტებთან, რისი დამადასტურებელი საბუთებიც არსებობდა. შემდეგ კი, როდესაც საბოლოო ტექსტზე შეჯერდნენ, შემუშავდა ისეთი ტექსტი, როგორიც გააჩნდა ინსტიტუციას ამჟამად. ისინი არ უარყოფენ რეკომენდაციას, რომ გასაგრძელებელია მუშაობა ამ მხრივ, დაწესებულებას კიდევ ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი თავისი როლისა და ადგილის საპოვნელად შრომის ბაზარზე და ამ მიმართულებით უნდა გაგრძელებულიყო მუშაობა. კონსტრუქციული რეკომენდაციების შემდეგ, ის შეფასება, რომელიც მიიღო მისიის კომპონენტმა მიუღებელია და მათი მოსაზრებით შეფასება არ იყო მოცემული კომპონენტის კრიტერიუმების მიხედვით. შესაბამისად, დაინტერესდნენ თუ რომელი სტანდარტის დარღვევით დაიდო აღნიშნული შეფასება, მათი მოსაზრებით უფრო მაღალი შეფასება უნდა მიეღოთ, ვიდრე ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია, მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ ბევრი რეკომენდაცია მისაღები იყო დაწესებულებისათვის, რეკომენდაცია 2.1.1-ის *(უზრუნველყავით, რომ მილენიუმის ორგანიზაციული სტრუქტურა აჩვენებდეს კავშირს ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს შორის, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორ არის ჩართული ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების განვითარებაში, ბიუჯეტირებაში და ა.შ.)* შესახებ, განაცხადა, რომ კანონის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირს არ ევალებოდა კომპეტენცია გაემიჯნა რომელიმე სტრუქტურულ ერთეულებს შორის ან ჰქონოდა სსიპ-ებისთვის დადგენილი სტრუქტურა, ანუ კანონის შესაბამისად დაწესებულება უფლებამოსილი იყო გამიჯვნა განეხორციელებინა თვითონ. მისი განმარტებით, სასწავლო უნივერსიტეტში ფაკულტეტის საბჭო დეკანისთვის წარმოადგენდა სათათბირო ორგანოს, კვალიფიკაციების ნაწილში ის განიხილავდა კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს, რის შემდეგაც დეკანი ანიჭებდა კვალიფიკაციას, ხოლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო იყო საერთო პოლიტიკის განმსაზღვრელი დაწესებულებაში. ამასთან დაკავშირებით უფლება-მოსილებები და მოვალეობები გაწერილი იყო დოკუმენტურად, შესაძლებელი იყო ენახათ დებულება, სადაც დაწვრილებით იყო ეს მოცემული. რექტორის განმარტებით, ფაკულტეტის საბჭო ირჩევდა 2 წარმომადგენელს აკადემიურ საბჭოში, სრული უფლება აქვთ იმ გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების გატარების, რომელიც განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე. ასევე, საქართველოს კანონი

უმაღლესი განათლების შესახებ განსაზღვრავდა კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლება-მოვალეობებს ამ მიმართულებით.
2.1.3 რეკომენდაციის *(ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის განვითარების დეპარტამენტი უნდა გაძლიერდეს და ჩამოყალიბდეს ცალკე სტრუქტურულ ერთეულებად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების სრულად და ეფექტურად შესრულება)* შესახებ უსდ-ს რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის გაუგებარია რის საფუძველზე გაიცა იგი. დეპარტამენტში კადრების ნაკლებობაა, რასაც დაწესებულება დაეთანხმა, მათ ორჯერ გამოაცხადეს ვაკანსიები, მათ შორის დეპარტამენტის შემადგენლობაშიც, გეგმავდნენ კიდევ გამოეცხადებინათ ვაკანსია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. მისი განმარტებით, დაწესებულება მიიღებდა რეკომენდაციას კადრების სიმცირის მიმართულებით, თუმცა, მისთვის გაუგებარია, რატომ უნდა გაიყოს სამსახური და მიუღებელია ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტაცია, რადგან ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის განხორციელდა მთლიანად სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურის ანალიზი, რომელზე დაყრდნობითაც შეიმუშავეს ახალი სტრუქტურა. დაწესებულება არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ საჭიროა ამ მიმართულებით ცვლილების განხორციელება. აღნიშნული რეკომენდაცია მისი მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, მე-10 და მე-12 მუხლების მოთხოვნებს.
2.1.7 რეკომენდაციის *(უზრუნველყავით, დოკუმენტების დამუშავების ელექტრონული სისტემის დანერგვა სისტემის მოდერნიზების მიზნით)* შესახებ, მან განაცხადა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ინტერვიუ კანცელარიის თანამშრომლებთან, წარედგინათ მტკიცებულებები ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთ სტრუქტურასთან მოლაპარაკებაზე, კერძოდ მიმოწერა, რომლის მიხედვითაც შეიძლება დაესკვნათ, რომ იმ მომენტისათვის უნივერსიტეტს უკვე დაწყებული ჰქონდა ამაზე მუშაობა, თუმცა გარემოება არ იქნა ასახული დასკვნაში. დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ აღნიშნულ სტანდარტში გაცემული არცერთი რეკომენდაცია არ იყო ისეთი, რომელიც ერთი წლის ვადაში არ შესრულდებოდა ან ეწინააღმდეგებოდა რომელიმე სტანდარტს.
საბჭოს თავმჯდომარის, კახა შენგელიას განცხადებით, დასკვნაში ასახული იყო, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ინგლისურ ვერსიაში ეწერა „ბიზნესის უწყვეტობის წესს ადგენს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“, ასევე ეთიკის კოდექსის დოკუმენტი არის გადმოღებული თავისუფალი უნივერსიტეტიდან.
უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი მაჩაბელი, დაინტერესდა რომელი დოკუმენტი ჰქონდათ გადმოღებული თავისუფალი უნივერსიტეტიდან. მას ზუსტად არ ახსოვდა დასკვნის აღნიშნული ნაწილი.
ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ პროცესში გამოიკვეთა ორი დოკუმენტი, ერთი მათგანი არის ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, სადაც ინგლისურ ვერსიაში დასაწყისშივე წერია - „ბიზნესის უწყვეტობის წესს ადგენს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში, უწყვეტი მუშაობის რეგულირებით“, ამან გამოიწვია ეჭვი დოკუმენტის რელევანტურობის შესახებ, რის შემდეგაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს და გამოითხოვა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ანალოგიური დოკუმენტი, როდესაც მიიღეს აღნიშნული დოკუმენტი და დაადარეს, დადგინდა რომ ავტორიზაციის მაძიებლის დოკუმენტი სიტყვა-სიტყვით ემთხვეოდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ანალოგიურ დოკუმენტს და ბოლო პუნქტშიც კი ეწერა, რომ გადაწყვეტილებას იღებდა წარმომადგენლობითი საბჭო, რაც მილენიუმის უნივერსიტეტს საერთოდ არ ჰქონდა და მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტებს აქვთ. ეთიკის კოდექსი კი დიდწილად ემთხვეოდა თავისუფალი უნივერსიტეტის ანალოგიურ დოკუმენტს.
უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ აღნიშნული ძალიან მტკივნეული ბრალდებაა, რადგან დადანაშაულებულნი არიან პლაგიატში, რაც არასასიამოვნო

ფაქტია. მისი განცხადებით გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი იყო დასკვნაში ნახსენები, მაგრამ არ იყო ნახსენები თავისუფალი უნივერსიტეტი.
ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, დასძინა, რომ თავისუფალი უნივერსიტეტიც იყო ნახსენები დასკვნაში და დასკვნიდან კონკრეტული გვერდი მიუთითა, სადაც მოცემული იყო ჩანაწერი თავისუფალი უნივერსიტეტის თაობაზე..
უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ მოხდა სამწუხარო გაუგებრობა, რადგან, როდესაც დაწესებულება მთლიანად აახლებდა იურიდიულ ბაზას, განიხილავდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სხვადასხვა დოკუმენტაციას, თუმცა იურიდიული დოკუმენტაციის 80% განახლდა და შეიძლებოდა ტექნიკური წუნი გაპარულიყო, მისთვის უცნობია როდის და როგორ მოხდა აღნიშნული, როგორ აღმოჩნდა ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის ხელში, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს რომ მიემართა დაწესებულებისთვის და გამოეთხოვათ კანცელარიიდან ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, ნახავდნენ, რომ იგი სრულიად განსხვავდება გადაგზავნილი დოკუმენტისგან, მისი მოსაზრებით ეს უფრო გაუგებრობა იყო, ვიდრე განზრახ ჩადენილი ქმედება.
სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებამ დამატებით გადააგზავნა თვითშეფასება, სადაც ასევე აღნიშნეს, რომ ცენტრში დევს დოკუმენტაცია, სადაც შეეძლო ენახა ექსპერტთა ჯგუფს, რომ განახლებულ დოკუმენტაციაში ნამდვილად სწორი ვერსია იყო ატვირთული. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ინტერვიუების განმავლობაში არაფერი უკითხავთ აღნიშნულ საკითხებზე.
სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა 2.1.3 რეკომენდაციის *(შეიმუშავეთ თქვენი ეთიკის კოდექსი ისე, რომ ასახავდეს დაწესებულებაში არსებულ რეალობას)* შესახებ განაცხადა, რომ ეთიკის კოდექსი არის ზოგადი და მისთვის გაუგებარია, თუ რას გულისხმობს დაწესებულების რეალობის ასახვა. 2.2.3 რეკომენდაციის (*ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების* და *პლაგიატის თავიდან აცილების გზების შესახებ სტუდენტებისა* და *პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოაწყვეთ შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები*) შესახებ, მან ასევე განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს აცნობა აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების შესახებ და გაუგზავნეს ამსახველი მასალაც. 2.3.3 რეკომენდაციის (*აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების სრულად რეალიზებისთვის, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა* და *სტუდენტების პირდაპირი წვდომა პლაგიატის გამოვლენის პროგრამაზე)* შესახებ, მან განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნია პლაგიატის აღმოჩენისა და შემდეგ რეაგირების მექანიზმები, მისთვის გაუგებარია ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნახსენები - პირდაპირი წვდომა.
2.3.4 რეკომენდაციის (*უზრუნველყავით, რომ სტუდენტის პერსონალური მონაცემები დაცულია პლაგიატის გამოვლენის პროცესში დამუშავების, გამოყენებისა* და *შენახვისას*) შესახებ, განაცხადა, რომ პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმების კუთხით დაწესებულება ხელმძღვანელობდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით, სადაც ისედაც ცალსახად განსაზღვრული იყო აღნიშნული. მან განაცხადა, რომ დაწესებულებას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და თავისთავად იცავდა იმ წესებს რასაც კანონმდებლობა ავალდებულებდა.
2.3.5 რეკომენდაციის (*უზრუნველყოფილი უნდა იყოს ესეების, მოხსენებების* და *სტუდენტების სხვა ნამუშევრების შემოწმდება პლაგიატის გამოვლენის პროგრამით*) შესახებ დაწესებულების პრორექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ხელშეკრულება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და მომართვის მიხედვით ხდებოდა ნებისმიერი ნაშრომის გატარება, სავალდებულო იყო საბაკალავრო ნაშრომის გატარება, თუმცა ესსეებისა და მოხსენებების გატარება ლექტორზეა დამოკიდებული, მისი თქმით, ერთ-ერთ დიდ უნივერსიტეტს იცნობდა და საკითხი, რომ ყველაფერი ტარდებოდეს, არ ახსენდებოდა, თუმცა თუ რომელიმე კანონი ავალდებულებდა, აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია, მესამე სტანდარტთან დაკავშირებით.
სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, 3.1.3 რეკომენდაციის *(დაცული უნდა იყოს პროგრამების შეწყვეტის პოლიტიკა და სტუდენტები უნდა იღებდნენ ინფორმაციას მათი პროგრამის დახურვის გადაწყვეტილების შესახებ. ამის შემდეგ ყველა დაზარალებულ სტუდენტს უნდა მიეცეს არჩევანი იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიონ წინსვლას ან განახორციელონ მობილობა, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი საზიანო გავლენა მათ სწავლაზე)* შესახებ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, მათი მოთხოვნის შესაბამისად მიეწოდათ მილენიუმის გადაწყვეტილება პროგრამების დახურვის შესახებ, რომელიც დაფუძნებულია კვლევაზე. აბსოლუტურად ყველა სტუდენტს ჰქონდა ინფორმაცია, რაც ექსპერტთა ჯგუფმაც აღნიშნა და მათ ჰქონდათ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მილენიუმის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დარჩენილიყვნენ ან/და შეეძლოთ ესარგებლათ გარე მობილობით. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწესებულება მოქმედებდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი მოსაზრებით, ზოგიერთი უნივერსიტეტის ჩანაწერი, რომ პროგრამის დახურვის შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის გადაყვანა სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, არის შეცდომა, რადგან უნივერსიტეტი ამას ვერ უზრუნველყოფდა, ეს უნდა უზრუნველყოს სხვა ორგანოებმა, მაგ., სსიპ - „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა“.
3.1.4 რეკომენდაციის (*რეკომენდებულია, რომ პროგრამის ნებისმიერი მცირე ან ძირითადი ცვლილება (მაგალითად, სწავლების მუდმივად გადართვა ონლაინ რეჟიმზე), დაექვემდებაროს პროგრამის მართვის სტრუქტურაში ფორმალური დამტკიცების სისტემატურ პროცესს*) შესახებ ზვიად მურადაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი, სადაც აღწერილია ცვლილებების განხორციელების წესიც. მათთვის გაუგებარია ამ ნაწილში ექსპერტთა რეკომენდაცია. დაწესებულება დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული რეკომენდაცია.
3.1.5 რეკომენდაციის (*რეკომენდებულია, რომ პედაგოგიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები ერთობლივად იყვნენ ჩართულნი თავიანთი კურსებისა და პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებაში, მიწოდებასა და განვითარებაში*) შესახებ პრორექტორმა განაცხადა , რომ პედაგოგიური, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები ერთობლივად იყვნენ ჩართულნი პროგრამებისა და თავიანთი კურსების დაგეგმვაში, შემუშავებაში, მიწოდებასა და განვითარებაში, რასაც ადასტურებდა კურიკულუმის კომიტეტების ოქმები.
3.1.6 რეკომენდაციის (*სწავლების თბილისში გადატანის შემდეგ, უნდა მოხდეს სტუდენტთა რაოდენობისა და შეთავაზებული პროგრამების დეტალური დაგეგმვა, რათა ეს შეესაბამებოდეს განხორციელების შესაძლებლობებს*) შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეორგანიზაციის შედეგად აღნიშნული პროცესები დარეგულირდა დაწესებულების მიერ, ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, ბათუმში სასწავლო პროცესი არ ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასებაში წარდგენილი იყო, როგორც სასწავლო ფართი, ექსპერტთა ჯგუფს განემარტა, რომ ბათუმში არცერთი საგანანმანათლებლო პროგრამა არ ხორციელდებოდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე, სადაც განიხილებოდა ლიფტის საკითხი, რომ იყო პატარა ზომის, სადაც ეტლი ვერ შევიდოდა, დაწესებულების განმარტებით, როგორც კი გადაწყვეტდნენ სასწავლო პროცესის განხორციელებას, აუცილებლად მიმართავდნენ ცენტრს და გაყვებოდნენ დადგენილ რეგულაციებს.
3.1.7 რეკომენდაციის (*სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა უნდა შეცვალოს სასწავლო პროცესის რეგულირების წესების პოლიტიკის დოკუმენტი, რათა სტუდენტები, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ პროგრესის არქონის გამო, ოფიციალურად გავიდნენ პროგრამიდან 5 წელზე (მაქსიმალური ვადა) ნაკლებ პერიოდში*) შესახებ, მან განაცხადა, რომ შეუძლებელი იყო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში ამ მუხლის შეცვლა, რადგან ეს

რეგულირდებოდა საქართველოს კანონმდებლობით. ექსპერტთა რეკომენდაცია იძლეოდა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ისინი ცუდად იცნობდნენ საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება გაითვალისწინებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ცვლილება შევიდოდა საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ.

3.1.8 რეკომენდაციის (*რეკომენდებულია, რომ მილენიუმმა შეიმუშავოს დეტალური პოლიტიკა დისტანციური სწავლებისა და შეფასებებისთვის, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო ტექნიკურ და აკადემიურ მხარდაჭერას როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისთვის*) შესახებ პრორექტორმა განაცხადა, რომ არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რადგან დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პანდემიის პერიოდში დისტანციური სწავლებისა და შეფასების წესი, რომელიც ეყრდნობოდა სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, აღნიშნული წესის მიხედვით მუშაობდა დაწესებულება პანდემიის პერიოდში, არაერთი შემოწმება გაიარეს აკრედიტაციის ექსპერტებისგან, მაგრამ მსგავსი პრობლემა არ დასმულა.

3.1.9 რეკომენდაციის (*სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა უნდა შექმნას სწავლის „კამპუსში დაბრუნების“ პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება ოფიციალურ მიზეზებსა და გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რომელი პროგრამები განხორციელდება, რომელ ფორმატში და ადგილმდებარეობაზე. უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროგრამის დოკუმენტაცია, დამატებითი ინფორმაციის ჩათვლით და შემდეგ წარედგინოს აკადემიურ საბჭოს ოფიციალურად დასამტკიცებლად*) შესახებ, პრორექტორის განმარტებით აღნიშნულ რეკომენდაციაში ცხადად ჩანს, რომ ექსპერტები არ იცნობდნენ კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, ან საუბარია ტექნიკურ ხარვეზზე.

3.1.10 რეკომენდაციის (*სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა უნდა გადახედოს უცხო ენის დაშვების კრიტერიუმებს, რათა უზრუნველყოს სტუდენტების შერჩევა, რომლებიც შეძლებენ პროგრესისთვის აუცილებელი ენობრივი უნარების განვითარებას*) შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეეძლოთ ენახათ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირის მიღების წესი, სადაც აღნიშნული დეტალურად იყო გაწერილი. მას სტანდარტის შეფასება არ მიაჩნდა სწორად და ფიქრობდა, უნდა სტანდარტი უნდა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

18:50 საათზე საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა - ლელა სალაყაიამ და ლევან რატიანმა.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ, განაცხადა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში 2021 წელს 400 სტუდენტი წერია ბათუმში, შესაბამისად დაინტერესდა, თუ ხორციელდებოდა ამ ხნის განმავლობაში სასწავლო პროცესი ბათუმში. მისთვის გაუგებარი იყო, ეს იყო თადარიგისთვის მოთხოვნილი 400 ადგილი და ახლა სურთ მთლიანი ქვოტა თბილისში დახარჯონ, თუ საიდან არის რიცხვი 400.

სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განმარტა, რომ ეს იყო შერწყმის შედეგია. საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ, დააზუსტა არსებობდა და სწავლობდა თუ არა ბათუმში 400 სტუდენტი. დაწესებულების პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, დაადასტურა, რომ ნამდვილად არსებობდა 400 სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ, დააზუსტა თუ სად წავიდა ზემოაღნიშნული 400 სტუდენტი. ზვიად მურადაშვილმა, განმარტა, რომ ყველა სტუდენტი გადმოვიდა თბილისში.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ, განაცხადა, რომ სწორედ აღნიშნული გარემოებიდან გაჩნდა კითხვები ბათუმიდან თბილისში გადატანის შესახებ. ექსპერტმა, ელენე გიგინეიშვილმა, დასძინა, რომ სტომატოლოგები გადმოვიდნენ. დაწესებულების პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განაცხადა, რომ ეს იყო შერწყმის დროინდელი ამბავი.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა, დაინტერესდა 2021 წელს, შერწყმის დროს 400 სტუდენტი გადმოიყვანეს თუ არა სასწავლებლად თბილისში.

სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განმარტა, რომ 400 სტუდენტი იყო ბათუმის უნივერსიტეტის კვოტა, თუმცა 400 სტუდენტი არ სწავლობდა.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ, განაცხადა, რომ კონკრეტული რიცხვი არ იყო საინტერესო და დააზუსტა თუ სად წავიდნენ სტუდენტები.
სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განაცხადა, რომ სტუდენტები ამ პერიოდში თბილისში იყვნენ.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ, დააზუსტა, იყვნენ თუ არა თბილისში ონლაინ და მოუწევდათ თუ არა ადგილზე სიარული. მან დააზუსტა ჰქონდა თუ არა სასწავლო უნივერსიტეტს კომუნიკაცია სტუდენტებთან და ცნობილი იყო თუ არა მათთვის, რომ თბილისში მოუწევდათ სწავლა. ინსტიტუციის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, აღნიშნული დაუდასტურა საბჭოს წევრს.
საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა, დაინტერესდა თუ რა გაკეთდა იმისათვის, რომ აღნიშნული სტუდენტები ბათუმიდან თბილისში გადასულიყვნენ. მან განმარტა, რომ კითხვა გაუჩნდა თვითშეფასების დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ.
სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული კითხვა დასკვნაში ვერ ამოიკითხა.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოზე კონტრარგუმენტაცია უნდა გააჟღეროს, მაგრამ მოთხოვნა, რომ ექსპერტები ვალდებულნი არიან დაწესებულებას განუმარტონ შეფასება, შეფასების მნიშვნელობა, სწავლების შეფასება, მნიშვნელობა, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას ფორმალური გადაწყვეტილება არ არის მართებული. მისთვის უხერხულია მსგავსი ტიპის კითხვების დასმა, თუმცა შესაძლებელი; სურდა დაწესებულებას განემარტა, თუ როგორ ახერხებდნენ 30 წთ-იანი Zoom-ით დისტანციური განათლების მიწოდებას, როდესაც მეცადინეობის ხანგრძლივობა დისტანციურ რეჟიმში სტანდარტიზებულია, საინტერესოა, როგორ ჰქონდათ ცხრილი შემუშავებული. მისი განმარტებით, ავტორიზაციის სახელმძღვანელო არ არის კანონი, ის რაც არის ყველაზე მნიშვნელოვანი - ავტორიზაციის სტანდარტებია. დაწესებულების წარმომადგენლების აზრით, საექსპერტო დასკვნა არ არის სამართლიანი და მათი მოსაზრებით უნდა "დასჯილიყვნენ" ექსპერტები, მაგ., დიანა მჭედლიშვილი - პლაგიატის აღმოჩენისთვის, ან საბჭო - კითხვების დასმისთვის. მისი თქმით, ეს კამათი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელებულიყო - მაგალითად, თუ როგორ უნდა ესწავლებინათ სტომატოლოგია 50 სტუდენტისთვის 2 სტომატოლოგიური სავარძლით. მან განმარტა, რომ არ ელოდებოდა პასუხს დაწესებულებისგან, რადგან დაწესებულებამ დასვა კითხვები კონკრეტული საკითხების განმარტების შესახებ. მას შემდეგ, რაც სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მედიცინის პროგრამა არ იყო აკრედიტებული, მას კითხვები არ აქვს.
სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განაცხადა, რომ როგორც მან გაიგო, საბჭოს წევრის მოსაზრებით თუკი Zoom-ის არალიცენზირებულ ვერსიას იყენებდნენ დაწესებულებები, ისინი შედეგზე ვერ გადიოდნენ. მან დასძინა, რომ არალიცენზირებული ვერსია 40 წთ-იანი იყო და არა 30 წთ-იანი.
საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია, დაინტერესდა 40 წთ ჰქონდათ თუ არა მეცადინეობა.
სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განაცხადა, რომ 50 წთ ჰქონდათ მეცადინეობა, მისი განმარტებით არ უთქვამს, რომ 40 წთ-ის გასვლის შემდეგ გადიოდნენ და აღარ ბრუნდებოდნენ, უნივერსიტეტების 90% ასე იქცეოდა.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ როგორც ჯანდაცვის პროგრამების წარმომადგენელი ვერ დაეთანხმებოდა დაწესებულების პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
3.1.6 რეკომენდაციის (*სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა უნდა შეცვალოს სასწავლო პროცესის რეგულირების წესების პოლიტიკის დოკუმენტი, რათა სტუდენტები, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ პროგრესის არქონის გამო, ოფიციალურად გავიდნენ პროგრამიდან*

5 წელზე (მაქსიმალური ვადა) ნაკლებ პერიოდში) შესახებ, სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, მოითხოვა ექსპერტების განმარტება.
ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ როგორც ცნობილი იყო, სტუდენტს შეეძლო სტატუსის შეჩერება 5 წლის განმავლობაში, თუმცა საუბარი იყო, რომ ბევრი სტუდენტი იყო სტატუს შეჩერებული ხანგრძლივად და საჭირო იყო ინსტიტუციას ჰქონოდა მექანიზმი მათ მოსაბრუნებლად, სასწავლო პროცესში ჩართვისთვის. დაწესებულებას უნდა ემუშავა მუდმივად, რომ სტუდენტებს გასჩენოდათ ინტერესი და სურვილი სწავლის გასაგრძელებლად.
სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განაცხადა, რომ როდესაც სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი არის პირადი განცხადება, ბევრი პრობლემა შეიძლება ყოფილიყო, დაინტერესდა თუ რა შეიძლება გაეკეთებინა დაწესებულებას მის მოსაბრუნებლად.
ექსპერტი, დიანა მჭედლიშვილი, დაინტერესდა, თუ რამდენი სტატუსშეჩერებული სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას.
დაწესებულების პრორექტორმა განაცხადა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობას, მისთვის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება მისაღები იქნებოდა თუკი დაწესებულება შეუჩერებდა სტატუსს, თავისი რეგულაციის შეუსრულებლობის გამო, მაგ., ფინანსურ ნაწილში, თუ არ გადაიხდიდა და დაწესებულება ჩამოართმევდა სწავლის უფლებას, მაგრამ, ამ შემთხვევაში ასე არ მომხდარა.
ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ სესიების დროს, ინსტიტუციის ადმინისტრაციის მხრიდან განმარტებულ იქნა, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტების ამხელა რაოდენობა დაკავშირებული იყო ენობრივ ბარიერთან, რომ მათ არ ჰქონდათ სწავლის გაგრძელების უნარი, პროგრამის სწავლის ენაზე. შესაბამისად, ექსპერტების შეფასება მათ შორის მოიცავდა იმასაც, რომ შექმნილიყო მექანიზმი ენის გაძლიერების კუთხით ან სხვა, რათა სტუდენტებს გაეგრძელებინათ სწავლა, ეს იყო აღნიშნულის არსი.
საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ, განაცხადა, რომ სხდომა არ გამართულა საკანონმდებლო მოთხოვნების გასარჩევად, რა თვალსაზრისითაც მიმდინარეობდა დიალოგი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ უნდა ასწავლიდნენ თუ რა წერია კანონმდებლობაში, დაწესებულება ავტორიზებულია, შესაბამისად, უნდა სცოდნოდა კონკრეტული სტანდარტი, კონკრეტულ შენიშვნაზე უნდა ჰქონდეთ პასუხი და კონკრეტულ რეკომენდაციაზე მიაწოდონ ინფორმაცია. პოზიცია, რომელსაც დაწესებულება იკავებდა იყო ის, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ ცენტრის მუშაობას, ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას, შესაძლებელია ავტორიზაციის საბჭოს მუშაობაც დააყენონ ეჭვის ქვეშ. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეკონკრეტებინათ თუ რას ეთანხმებოდნენ აღნიშნული რეკომენდაციების ჩამონათვალში, რითიც უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებდა საბჭო, რადგან მისთვის წარმოუდგენელი იყო მუშაობა ამ ფორმატში, როდესაც დაწესებულება ითხოვდა განმარტებას, დაწესებულებას და ექსპერტთა ჯგუფს საკმაოდ დიდი დრო ჰქონდათ ერთმანეთისთვის რაღაცების დასამტკიცებლად, როდესაც დასკვნაში წერია, მაგ., რომ სადღაც მივიდნენ და მხოლოდ IT მენეჯერი დახვდათ, სიმულაციური ცენტრის უფროსი ადგილზე არ იყო და ვიზიტის დასრულების შემდეგ მივიდა, მივიდნენ სტომატოლოგიურ დაწესებულებაში, რომელთანაც ნაჩქარევად იყო ხელშეკრულება გაფორმებული და საერთოდ არ იცოდა რა საჭიროება ჰქონდა კონკრეტულ სტუდენტს, კონკრეტულ სასწავლებელს, ასეთ ინფორმაციებს ექსპერტთა ჯგუფის წევრები არ იგონებდნენ, ეს იყო ფაქტები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა საბჭომდე მიიტანა. ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა სხვადასხვა უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გამოყენების შესახებ, რაც არ იყო ცუდი, თუ მოარგებდნენ თავის პრაქტიკას, მაგრამ, როდესაც ჩარჩება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უხერხულია საბჭომ განიხილოს სხდომაზე, რადგან ამისთვის დაწესებულებას უნდა ჰყავდეს ადმინისტრაციის თანამშრომლები და მათ უნდა გაეკეთებინათ შესაბამისი ახსნა-განმარტება. მისი მოსაზრებით, წარმოუდგენელია ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მიმდინარეობდეს მსჯელობა იმის შესახებ თუ რატომ ჩარჩა დოკუმენტში „გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“, მან შეახსენა

დაწესებულებას, რომ თუკი ექსპერტთა ჯგუფის აცილება ჰქონდათ, შეეძლოთ აღნიშნულის თაობაზე განეცხადებინათ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, ხოლო ამ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფის კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება რამდენად უწყობდა ხელს პროცესს, არაფერში არ ეწერა. მან დაწესებულებას ურჩია, რომ გაყოლოდნენ ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშს, განეხილათ, მიეღოთ, რაც მისაღები იყო, შეფასება შესაძლებელია მომხდარიყო, სადაც ექსპერტი წერდა, რომ რაღაც უმჯობესი იყო, მაგრამ როდესაც კანონმდებლობასთან არ მოდიოდა შესაბამისობაში, საბჭო არც საქალაქო სასამართლო იყო და არც სააპელაციო. საბჭოს წევრის მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა დაწესებულებას ესაუბრა თუ რას ეთანხმებოდნენ და შემდეგ საბჭო იმსჯელებდა თუ რატომ არ ემთხვეოდა დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება ერთმანეთს.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ დასძინა, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების ხედვის მოსმენა რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას დაწვრილებით ჰქონდა წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დაფიქსირებული იყო ის რეკომენდაციებიც, რომლებსაც ეთანხმებოდა დაწესებულება.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ, განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში, ეწერა, რომ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მოთხოვნილი იყო სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, კურსის თემატიკის მიმართულებით 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორობა და ა.შ., თუმცა ზოგიერთი აფილირებული პერსონალის პირადი საქმით არანაირად არ დასტურდებოდა აღნიშნული ფაქტები, შესაბამისად დაინტერესდა თუ როგორ ხსნიდა დაწესებულება აღნიშნულს.

პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საუბარი იყო ძველ პერსონალზე, რომლებიც ძველი წესით იყვნენ არჩეულნი, ახლები ძირითადად იყვნენ სამედიცინო პროგრამაზე, რაც შეეხება კრიტერიუმებს, დაწესებულება ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული პერსონალი იყო წინა პერიოდში აყვანილი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დოკუმენტაცია ახალი კონკურსების შესახებ, რომელიც არ იქნა წარმოდგენილი, მათ არ მიეცათ საშუალება გადაემოწმებინათ 2021 წელს მიღებული წესის მიხედვით კონკურსების ჩატარება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ მეშვიდე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეფასდა, როგორც არ შეესაბამება მოთხოვნებს, დაინტერესდა ერთნაირი სიტუაცია იყო ბათუმსა და თბილისში თუ ბათუმის ფართის მდგომარეობამ იქონია ზეგავლენა სტანდარტის შეფასებაზე.

ექსპერტმა, ელენე ხურციძემ, განაცხადა, რომ ბათუმმა იქონია გავლენა, მაგრამ ბათუმის გარეშეც, მხოლოდ თბილისის ფართშიც იყო პრობლემები, მაგ., ბიბლიოთეკაში არ იყო წიგნები სამედიცინო პროგრამისთვის, რომ მოიკითხეს იყო მხოლოდ ქსეროქსი, ელექტრონული ვერსიის ნახვა მხოლოდ უნივერსიტეტის ფარგლებში შეიძლებოდა, იქ არსებული რესურსი კი 1000 სტუდენტს ვერ დააკმაყოფილებდა, იგივე შეიძლება ითქვას კომპიუტერებსა და აუდიტორიებზე. ამ მხრივ თბილისი ბევრად უფრო აღჭურვილია, მაგრამ სტუდენტების მითითებულ რაოდენობას ვერ დააკმაყოფილებდა. ასევე, თბილისის ფართში ინტერნეტის ხარისხი იყო ძალიან დაბალი, ზოგან ფარავდა, ზოგან ვერა. ფინანსური რესურსები ზოგადად იყო განმარტებული და კონკრეტული მტკიცებულებები/გეგმა არ იყო დაკონკრეტებული.

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ თბილისის ფართში სველი წერტილები ისე იყო ადაპტირებული, რომ ეტლით შეღწევა პრაქტიკულად არ იყო შესაძლებელი, საევაკუაციო კარი კი იყო რკინის. რაც შეეხება ბათუმის სასწავლო ფრთს, დაქირავებული იყო ორი სართული, სადაც მიღწევა უნდა მომხდარიყო ლიფტის საშუალებით, თუმცა საუბარი იყო ძველ, ვიწრო კარიან, ლიფტზე, სადაც ეტლით შეღწევა შეუძლებელი იყო, თვითონ სართულებზე არ იყო გამათბობელი, მხოლოდ ერთი გამათბობელი იდგა დერეფანში. ბიბლიოთეკა არ იყო მოწყობილი, მხოლოდ ეწერა, რომ ბიბლიოთეკა იყო. შესაბამისად ექსპერტების შეფასებით, მოცემულ ეტაპზე იქ ვერ განხორციელდება ვერანაირი საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფმა ითხოვა დისტანციური წვდომა საბიბლიოთეკო რესურსებზე, დისტანციურ ჩართვაზე შემოვიდა ქალბატონი, რომელმაც ვერცერთი რესურსი ვერ გახსნა. აქედან გამომდინარე, ბათუმის სასწავლო შენობა არ იყო მზად საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა მოახსენა ექსპერტებს, დაწესებულების წარმომადგენლებს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტებისა და მოსაზრებებისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების რექტორს, ხომ არ სურდა მას რაიმეს დამატება.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი მაჩაბელმა, განაცხადა, რომ მას ამ ეტაპზე რაიმეს დამატება აღარ სურდა და დაწესებულება დაელოდებოდა საბჭოს გადაწყვეტილებას.

დაწესებულების პრორექტორმა, ზვიად მურადაშვილმა, განმარტა, რომ თბილისში ჰქონდათ ორი კარი, ერთი რკინის და მეორე მეტალოპლასტმასის, მისი თქმით, შენობა მთლიანად ადაპტირებული იყო. ექსპერტმა, ელენე ხურციძემ, განმარტა, რომ ტექნიკურად შენობა ადაპტირებული იყო, მხოლოდ შესასვლელი და ლიფტი, თუმცა სსსმ ადამიანი ვერ ისარგებლებდა სველი წერტილით.

დაწესებულების პრორექტორმა მიმართა საბჭოს შუამდგომლობით, რომ თუკი, საბჭოს მიერ მიღებული იქნებოდა უარყოფითი გადაწყვეტილება, გაეთვალისწინებინათ სტუდენტების ინტერესები და მიეცათ მათთვის შესაძლებლობა მიმდინარე სემესტრი დაესრულებინათ დაწესებულებაში. მიმდინარე სემესტრი დაწესებულებაში სრულდებოდა 2022 წლის 15 ივლისს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება: 20:13 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 20:46 საათი

საბჭომ სრულად გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და სტანდარტების შეფასებები. შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილება დაეფუძნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო დოკუმენტაციას, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ზეპირ მოსმენაზე დაფიქსირებულ გარემოებებს. შესაბამისად, საკითხის სრულყოფილად და ყოველმხრივ შესწავლის შედეგად, საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულება ავტორიზაციის მე-2; მე-3; მე-5 და მე-7 სტანდარტებთან მიმართებით უნდა შეფასებულიყო, როგორც არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 28
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის, ამავე მუხლის 22 პუნქტის, მე-14 მუხლის, მე-16 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 562 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 564 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, მე-8 პუნქტის, 79-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 83-ე მუხლის, 103-ე მუხლის საფუძველზე, შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს გაუუქმდეს ავტორიზაცია.
შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის შუამდგომლობისა და დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი 2022 წლის 27 ივნისიდან 2022 წლის 1 აგვისტომდე დაასრულონ შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში.
საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით და ასევე დაწესებულებას, რომ ხელი შეეწყო სტუდენტებისთვის, რათა ეფექტურად მოხდეს მათი რიგგარეშე მობილობა სხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დაწესებულებას დამატებით მიმართა საბჭომ, რომ ხელი შეუწყოს რიგგარეშე მობილობის პროცესის ეფექტურად და დროულად, გაჭიანურების გარეშე განხორციელებას, მათ შორის სტუდენტებისთვის მობილობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და გაცემას.

სხდომაზე დამსწრე წევრებმა სრულად გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1.1.1. რეკომენდებულია, რომ მომდევნო 6 თვის განმავლობაში, მილენიუმმა ჩართოს სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოება და გარე დაინტერესებული მხარეები მისიის, ხედვის და სტრატეგიული მიზნების პერიოდულ დახვეწაში, რათა მიაღწიოს მისიის განაცხადს, რომელიც ასახავს მილენიუმის განსაკუთრებულ როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.
1.2.1. რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია სრულად განხორციელდეს და სრულად ამოქმედდეს მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში.
1.2.2. შემუშავდეს წლიური გეგმები დეტალური ამოცანებით, განისაზღვროს ამ ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, ასევე, გაიწეროს მათი შესრულება ადეკვატურ დროში და განისაზღვროს შესრულების გაზომვადი (რაოდენობრივი) ინდიკატორები. ზემოაღნიშნულის დანერგვა განხორციელდეს ერთი წლის განმავლობაში.
1.2.3. რეკომენდებულია, დაინერგოს და ამუშავდეს შესაბამისი მონაცემთა შეგროვების სისტემა გეგმის განხორციელების პროგრესის შეფასების მონიტორინგისა და მენეჯმენტის რეაგირებისთვის და ამოქმედდეს უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში.
1.2.4. დაწესებულებამ ხელი უნდა შეუწყოს ქალაქისა და ქვეყნის სოციალურ განვითარებას ღია ლექციებისა და პრეზენტაციების ორგანიზებით და აკადემიური და გამოყენებითი კვლევის ცოდნისა და ინოვაციების გაზიარებით.
2.1.1. უზრუნველყავით, რომ მილენიუმის ორგანიზაციული სტრუქტურა აჩვენებდეს კავშირს ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს შორის, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორ არის ჩართული ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების განვითარებაში, ბიუჯეტირებაში და ა.შ.
2.1.2. ბათუმის სასწავლო ფართი უნდა იყოს ნაჩვენები მილენიუმის ორგანიზაციულ სტრუქტურაში.
2.1.3. ინტერნაციონალიზაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის განვითარების დეპარტამენტი უნდა გაძლიერდეს და ჩამოყალიბდეს ცალკე სტრუქტურულ ერთეულებად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების სრულად და ეფექტურად შესრულება.

2.1.4. შეიმუშავეთ საკუთარი ბიზნეს უწყვეტობის წესი და უზრუნველყავით, რომ ის ასახავდეს დაწესებულებაში არსებულ რეალობას.
2.1.5. ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს მკაფიო და კონკრეტული ხედვა, სტრატეგია და გეგმა ბათუმის სასწავლო ფართისთვის.
2.1.6. უზრუნველყავით, რომ ბათუმის სასწავლო ფართს ჰქონდეს შესაბამისი რესურსები და ჰყავდეს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რათა შესაძლებელი გახდეს სასწავლო პროცესის განხორციელება.
2.1.7. უზრუნველყავით, დოკუმენტების დამუშავების ელექტრონული სისტემის დანერგვა სისტემის მოდერნიზების მიზნით.
2.1.8. უზრუნველყავით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის სისტემატური განახლება და ზუსტი, დროული და სწორი მონაცემების მიწოდება.
2.1.9. უზრუნველყავით, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელება, შეფასების შედეგების მიწოდება და შესაბამისი საჭირო ქმედებების განხორციელება.
2.1.10. გააძლიერეთს დაწესებულების ინტერნაციონალიზაცია არა მხოლოდ თანამშრომლობის ხელშეკრულებების რაოდენობის გაზრდით, არამედ ისეთ შედეგებზე ფოკუსირებით, როგორიცაა სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამების ორგანიზება, ერთობლივი, გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა.
2.1.11. უზრუნველყავით დაწესებულების მდგრადობა არსებულ საგანმანათლებლო გარემოში დაწესებულების პოზიციისა და საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ყველა რესურსის მიმართ.
2.2.1. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ეფექტური მეთოდოლოგია და შეფასების შედეგები გამოიყენოს სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
2.2.2. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის პროცესი ფოკუსირებული უნდა იყოს PDCA ციკლის სრულ შესრულებაზე.
2.2.3. ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე ეფექტური და დროული რეაგირება.
2.2.4. უზრუნველყავით, რომ დაწესებულებას ჰყავდეს საკმარისი ადმინისტრაციული პერსონალი დაწესებულების მიზნების განსახორციელებლად.
2.2.5. უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგების გამოიყენება პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის.
2.2.6. უსდ-მ უნდა შეიმუშაოს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მკაფიო და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია, რომელიც აჩვენებს, რომ მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეესაბამება დაწესებულების არსებულ რესურსებს.
2.2.7. უზრუნველყავით, სტუდენტთა კვოტის განსაზღვრა თითოეულ ლოკაციაზე (თბილისი, ბათუმი).
2.2.8. უსდ-მ უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია და პოლიტიკა ბათუმის სასწავლო ფართში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.
2.3.1. შეიმუშავეთ თქვენი ეთიკის კოდექსი ისე, რომ ასახავდეს დაწესებულებაში არსებულ რეალობას.
2.3.2. ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და პლაგიატის თავიდან აცილების გზების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოაწყვეთ შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები.
2.3.3. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების სრულად რეალიზებისთვის, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების პირდაპირი წვდომა პლაგიატის გამოვლენის პროგრამაზე.

2.3.4. უზრუნველყავით, რომ სტუდენტის პერსონალური მონაცემები დაცულია პლაგიატის გამოვლენის პროცესში დამუშავების, გამოყენებისა და შენახვისას.
2.3.5. უზრუნველყავით ესეების, მოხსენებების და სტუდენტების სხვა ნამუშევრების შემოწმდება პლაგიატის გამოვლენის პროგრამით.
3.1.1. დაზუსტდეს გადაწყვეტილება ბათუმის სასწავლო ფართის, როგორც პროგრამის განხორციელების ბაზად გამოყენების შესახებ, ასევე, კერძოდ, რომელი პროგრამები განხორციელდება იქ და/ან თბილისში, რათა მოხდეს განახლებული პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების განხორციელების დაგეგმვა.
3.1.2. ბათუმის სასწავლო ფართის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რეკომენდებულია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ განახლებული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის განახლდეს ინფრასტრუქტურა, შეიკრიბოს საკმარისი რაოდენობის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, რათა პროგრამები ეფექტურად განხორციელდეს და განვითარდეს.
3.1.3. პროგრამების შეწყვეტის პოლიტიკა უნდა არსებობდეს და სტუდენტები უნდა იყვნენ ინფორმირებული მათი პროგრამის დახურვის გადაწყვეტილების შესახებ. ამის შემდეგ, ყველა დაზარალებულ სტუდენტს უნდა მიეცეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა თუ როგორ გააგრძელოს სწავლა ან განახორციელოს მობილობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი საზიანო გავლენა მათ სწავლაზე.
3.1.4. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ნებისმიერი მცირე ან ძირითადი ცვლილება (მაგალითად, სწავლების მუდმივად გადართვა ონლაინ რეჟიმზე), განხორციელდეს სისტემური დონეზე, პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ფორმალური გადაწყვეტილების საფუძველზე.
3.1.5. რეკომენდებულია, რომ ფაკულტეტი და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები ერთობლივად იყვნენ ჩართულნი თავიანთი კურსებისა და პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებაში, მიწოდებასა და განვითარებაში.
3.1.6. სწავლების პროცესის თბილისში გადატანის შემდეგ, უნდა მოხდეს სტუდენტთა რაოდენობისა და შეთავაზებული პროგრამების დეტალური დაგეგმვა, რათა ეს შეესაბამებოდეს დაწესებულების შესაძლებლობებს.
3.1.7. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიტანოს ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში, რათა სტუდენტებს, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ აკადემიური პროგრესის არქონის გამო, ოფიციალურად გავიდნენ პროგრამიდან 5 წელზე (მაქსიმალური ვადა) ნაკლებ პერიოდში.
3.1.8. რეკომენდებულია, რომ მილენიუმმა შეიმუშავოს დეტალური პოლიტიკა მუდმივი დისტანციური სწავლებისა და შეფასებებისთვის, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო ტექნიკურ და აკადემიურ მხარდაჭერას როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისთვის.
3.1.9. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შექმნას სწავლის „კამპუსში დაბრუნების“ პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება ფორმალიზებულ მიზეზებსა და გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რომელი პროგრამები განხორციელდება, რომელ ფორმატში და ადგილზე. უნდა შემუშავდეს პროგრამის შესაბამისი დოკუმენტაცია, დამატებითი ინფორმაციის ჩათვლით და შემდეგ წარედგინოს აკადემიურ საბჭოს ოფიციალურად დამტკიცების მიზნით.
3.1.10. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გადახედოს უცხო ენის დაშვების კრიტერიუმებს, რათა უზრუნველყოს იმ სტუდენტების შერჩევა, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ენობრივი კომპეტენცია შედეგის მისაღწევად.
3.2.1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა მოახდინოს ყველა პროგრამისა და სილაბუსის სტრუქტურისა და სქემის სტანდარტიზაცია, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა პროგრამების მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ.
3.2.2. პროგრამის სტანდარტიზაციის პროცესში შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის მონაცემები უნდა გაზიარდეს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და გამოყენებულ

იქნას როგორც მტკიცებულება პროგრამის მიწოდების, განვითარებისა და გაუმჯობესების მხრივ.
3.2.3. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და დაცული ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის დანერგვა პერსონალისა და სტუდენტებისთვის, და შეწყვიტოს პირადი ელ. ფოსტის გამოყენება, რომელიც არ არის დაცული.
3.2.4. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა განახორციელოს თბილისში არსებული სასწავლო სივრცისა და ობიექტების (განსაკუთრებით ლაბორატორიის და კლინიკური უნარების სწავლებისთვის) დეტალური დაგეგმვა , რომ ის იყოს ადეკვატური სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობისთვის და მათ შეძლონ შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა.
3.2.5. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა მოაგვაროს ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომის პრობლემა (განსაკუთრებით კამპუსის გარე ტერიტორიიდან), რათა სტუდენტებმა შეიძინონ ციფრული წიგნიერების უნარები, რაც აუცილებელია მომავალი პროფესიული დასაქმებისთვის.
3.2.6. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს ჰქონდეს ონლაინ სწავლების პლატფორმა ან მეთოდოლოგია, რაც შესაძლებელს გახდის უწყვეტი საკლასო სწავლება გაგრძელდეს 45 წუთზე მეტხანს.
3.3.1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შეიძინოს საკუთარი ლიცენზია პლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფისთვის, რათა სტუდენტებმა და პერსონალმა გაიაზროს თავიანთი ვალდებულება, მარტივად შეძლონ საკუთარი აკადემიური ნაწერის შემოწმება და თავიდან აიცილონ შემთხვევითი პლაგიატი.
3.3.2. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა შექმნას ყოვლისმომცველი შეფასების პოლიტიკა დეტალური გეგმით (მათ შორის, შეფასების ტიპები, თარიღები და ა.შ.) ყველა პროგრამისთვის, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრული შეფასების ციკლი, რაც საშუალებას მისცემს პერსონალს ჩაერთოს შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაში.
3.3.3. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა მოახდინოს ყველა პროგრამის დოკუმენტის ტიპისა და ფორმატის სტანდარტიზება შეფასების ტიპის, დროისა და ფორმატების მხრივ (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და მათი შესაბამისობა მარეგულირებელ კრიტერიუმებთან.
3.3.4. რეკომენდირებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა დაატრენინგოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეფასების თანამედროვე პრინციპებში და კერძოდ, კითხვების წერასა და სტანდარტების განსაზღვრაში.
3.3.5. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს უნდა ჰქონდეს მიდგომა სტანდარტების დადგენისა და მოდერაციის მიმართ ყველა შეფასებაში, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა და სამართლიანობა.
3.3.6. რეკომენდებულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა რეგულარულად განახორციელოს სავალდებულო შეფასების სტანდარტიზება ყველა პერსონალის მონაწილეობით, რომლებიც ახდენენ სტუდენტების შეფასებას.
4.1.1. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა განსაზღვროს მიდგომები და სტრატეგია თავისი პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, თანამშრომლების მუშაობის შედეგებზე და საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით.
4.1.2. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა დააწესოს მკაფიო და ადეკვატური მოთხოვნები აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისა და წახალისებისთვის და გაზარდოს მათი ინფორმირებულობა.
4.1.3. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გაზარდოს თანამშრომელთა რაოდენობა ადმინისტრაციულ/დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში, მათი მოვალეობებისა და სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (განსაკუთრებით განყოფილებებში/სამსახურებში, სადაც

მხოლოდ ერთი თანამშრომელია) და განსაზღვროს ბათუმის ფილიალის ორგანიზაციული სტრუქტურა და დასაქმებულთა რაოდენობა სტუდენტების რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით.

4.1.4. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიმუშავოს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრირებას სამუშაო გარემოში და მათ ეფექტურ ჩართვას სამუშაო პროცესში.

4.1.5. სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა უნდა გამოიყენოს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები პერსონალის მართვის პროცესში.

4.1.6. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გადახედოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უცხო ენის კომპეტენციებთან დაკავშირებით.

4.1.7. მილენიუმმა უნდა გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

4.2.1. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა შეიმუშავოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, თითოეულ პროგრამაზე არსებული და მომავალი სტუდენტების რაოდენობის, პროგრამის სპეციფიკისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

4.2.2. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმმა უნდა გაზარდოს მასწავლებლების რაოდენობა მედიცინის პროგრამისთვის.

5.1.1. საჭიროა სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მაღალი მაჩვენებლის მიზეზების კვლევა და ამის თანდათან შემცირების გეგმის შემუშავება.

5.1.2. უზრუნველყავით, დაწესებულების ადმინისტრაციულ და აკადემიურ ორგანოებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა.

5.1.3. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყველა საჭირო დოკუმენტაცია განათავსეთ რუსულ და ინგლისურ ენებზე.

5.1.4. მიაწოდეთ ტურიზმისა და ჟურნალისტიკის პროგრამების სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია პროგრამების შეწყვეტისა და სწავლის გაგრძელების სამომავლო შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პროცესი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის ნორმატიულ აქტებში აღწერილ წესებს.

5.1.5. სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობები მის წესდებას უნდა შეესაბამებოდეს, ხოლო საარჩევნო პროცესი შესაბამისი წესით წარიმართოს.

5.1.6. პროცესის მკაფიოდ განსაზღვრისთვის რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წესების დახვეწა. ასევე, ენის ტესტი უნდა შეესაბამებოდეს B2 დონეს, რომელიც მოთხოვნილია უსდ-ში მოქმედი წესით.

5.2.1. საჭიროა საკონსულტაციო მომსახურების სისტემური მიდგომის შემუშავება, განსაკუთრებით სასწავლო პროცესთან და სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებით.

5.2.2. გაზარდეთ საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობები; უზრუნველყავით, რომ სტუდენტებმა შეიძინონ ამ აქტივობებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარები.

5.2.3. საჭიროა კურსდამთავრებულთა უფრო ღრმა კვლევების ჩატარება და პროგრამის შემუშავებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

5.2.4. უნდა შემუშავდეს კურსდამთავრებულთა შორის უმუშევრობის შემცირების გეგმა.

5.2.5. გააძლიერეთ დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. გაზარდეთ სტუდენტების სტაჟირების შესაძლებლობები.

5.2.6. შეიქმნას დასაქმების მონაცემთა ბაზა. საჭიროა დამსაქმებლებთან გრძელვადიანი პარტნიორობის/კომუნიკაციის დამყარება.

5.2.7. უზრუნველყავით სტუდენტური პორტალის დროული დანერგვა, უცხოენოვანი მხარდაჭერით.

6.1.1. რეკომენდებულია, სასწავლო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს კვლევითი სტრატეგია და სამეცნიერო აქტივობების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს დაფინანსების კომპონენტსაც.

6.1.2. რეკომენდებულია, სასწავლო უნივერსიტეტმა მოიზიდოს ისეთი კვლევითი პერსონალი, რომელიც არის კვალიფიციური და შეძლებს სტუდენტების დატრენინგებასა და სამეცნიერო ხელმძღვანელობას.
6.1.3. უზრუნველყავით, რომ ყველა აკადემიური პერსონალი იყოს ინფორმირებული ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული სამეცნიერო და კვლევითი მხარდაჭერის შესახებ.
6.2.1. განხორციელეთ სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულებით.
6.2.2. უზრუნველყავით, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა და პარტნიორ უნივერსიტეტში მათი დარჩენა, საერთაშორისო კომპონენტის სასწავლო უნივერსიტეტის მხარდაჭერის გეგმაში ინტეგრირების მიზნით.
6.3.1. განახორციელეთ ფაკულტეტის ყველა წევრის სამეცნიერო აქტივობების შეფასება.
6.3.2. შეფასების პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ აფილირებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა კვლევითი საქმიანობის დაწყების მიზნით.
7.1.1. უზრუნველყოფილ იქნეს თბილისის და ბათუმის ფართების აღჭურვა მატერიალური რესურსებით (კომპიუტერებით, ლაბორატორიებით, სასწავლო და რეკრეაციული სივრცეებით, საბიბლიოთეკო რესურსებით), რომ საკმარისი იყოს 1450 სტუდენტისთვის.
7.1.2. ბათუმის ფართი უნდა იყოს აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.
7.1.3. შეიქმნას უსაფრთხო გარემო ლაბორატორიაში.
7.1.4. გამოიყოს შესაბამისი სივრცე არქივისთვის ბათუმის და თბილისის ფართებში.
7.1.5. ყველა შენობა უნდა იყოს ხელმისაწვდომი საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის როგორც ბათუმში , ასევე თბილისში.
7.1.6. სანიტარული ოთახები აღიჭურვოს და გახდეს ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის როგორც თბილისში, ასევე ბათუმში.
7.1.7. ცენტრალური გათბობა უნდა იყოს დამონტაჟებული ბათუმის სასწავლო ფართში.
7.1.8. დამატებითი სათადარიგო გასასვლელი უნდა იყოს უზრუნვეყოფილი და ფუნქციონირებადი საჭიროების შემთხვევაში როგორც ბათუმში, ასევე თბილისში.
7.1.9. უზრუნველყოფილ იქნეს ვიდეო მონიტორინგი უსაფრთხოების მიზნით როგორც შენობის გარეთ, ასევე შიგნით ბათუმის სასწავლო ფართში.
7.1.10. ბათუმის ფართში სამედიცინო ოთახი აღიჭურვოს ყველა საჭირო რესურსით (მედიკამენტებით, თერმომეტრით და ა.შ.)
7.2.1. გაიზარდოს მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულებით წიგნების რაოდენობა
7.2.2. უზრუნველყოფილ იქნეს წვდომა საბიბლიოთეკო რესურსებზე უნივერსიტეტის გარე სივრციდან, რომ სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს სახლიდან გამოყენება
7.2.3. სასწავლო უნივერსიტეტმა შესთავაზოს ტრენინგები აკადემიურ პერსონალს, რათა გაიზარდოს ბიბლიოთეკით სარგებლობის მაჩვენებელი
7.2.4. განვითარდეს სასწავლო მასალების გამოყენების მონიტორინგის სისტემა საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების მიზნით.
7.2.5. რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ადეკვატური საბიბლიოთეკო რესურსები (ელ. წიგნები, ჟურნალები) ყველა საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით.
7.2.6. უზრუნველყოფილ იქნეს წიგნები და სხვა მასალები ბათუმის სასწავლო ფართში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით
7.2.7. გაიზარდოს ბიუჯეტი ბიბლიოთეკის განვითარებისთვის, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამა იყოს საბიბლიოთეკო რესურსით უზრუნვეყოფილი, როგორც ბათუმში, ასევე თბილისში.
7.3.1. გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

7.3.2. განახლდეს ელექტრონული პორტალი ინგლისურ და რუსულ ენებზე უცხოელი სტუდენტებისთვის.
7.3.3. გაიზარდოს Wifi-ის დაფარვა და ინტერნეტის ხარისხი.
7.4.3. შეიქმნას დაწესებულების კორპორატიული ელ. ფოსტის სისტემა.
7.3.5. განვითარდეს დაწესებულების ვებგვერდის ტექნიკური მხარდაჭერა, რომ ვებგვერდი ფუნქციონირებდეს რეგულარულად და ახლდებოდეს ინფორმაცია
7.4.1. მეტი ფინანსები უნდა გამოიყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით.
7.4.2. უფრო მეტი ფინანსური რესურსებია საჭირო სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების, ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარებისთვის.
7.4.3. შესაბამისი ფინანსური რესურსები არის საჭირო მატერიალური და საინფორმაციო რესურსების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და მუდმივი განვითარებისთვის, განსაკუთრებით ბათუმის ფილიალის შემთხვევაში.
7.4.4. ჩატარდეს 2 განსხვავებული ავტორიზებული აუდიტორული შემოწმება კომპანიის მიერ შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებით.
7.4.5. უზრუნველყოფილ იქნეს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საფინანსო მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემა, დაწესებულების მიზნების მიღწევის მიზნით.

1. **2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილი განცხადების განხილვა**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

თვითაცილება განაცხადეს გაგა გვენეტაძემ, დავით ბოსტოღანაშვილმა და გია ლობჟანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს სასწავლო და შრომითი ურთიერთობები დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ცენტრის მიერ გაზიარებულ განცხადებასა და ადმინისტრაციული წარმოების მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ, როგორც განცხადებას, ასევე ადმინისტრაციული წარმოების

მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობა დააკისრა საბჭოს წევრს - ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს საბჭოსთვის გაეცნო განსახილველი საკითხი.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სოფიკო ქურასბედიანმა, განაცადა, რომ ცენტრი წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად, აყენებდა შუამდგომლობას ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. სოფიკო ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ 2021 წლის დეკემბრის ბოლოს წარმოდგენილ იქნა ცირა ბარამიძის საჩივარი. თავდაპირველად განმცხადებელი საჩივარში აღნიშნავდა, რომ ირღვეოდა მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები. კერძოდ, „კავკასიოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ რეაკრედიტაციის მზადების პროცესში იგი არ ჰყავდათ ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში, ხარისხის სამსახურისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან მის მიმართ არა აკადემიური ტერმინების გამოყენება ხდებოდა გარკვეული სახის შეხვედრებზე.

განმცხადებელი ასევე აღნიშნავდა, რომ ირღვეოდა ფაკულტეტის დებულების გარკვეული მუხლები, კერძოდ ჩანაწერები, რომელიც ეხებოდა, პროგრამაზე რამდენიმე თანახელმძღვანელის დანიშვნას. განმცხადებლის განმარტებით, მისი ნების საწინააღმდეგოდ ზემოაღნიშნულ პროგრამას გაუჩნდა რამდენიმე თანახელმძღვანელი და კოორდინატორი.

სოფიკო ქურასბედიანმა განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ცენტრმა მიმართა დაწესებულებას და გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტაცია, რითიც ექნებოდათ საშუალება დაედგინათ ირღვეოდა თუ არა ავტორიზაციის ან აკრედიტაციის სტანდარტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, ცენტრმა არ დაადგინა არც აკრედიტაციის და არც ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევის ფაქტები.

შესაბამისად, ცენტრი შუამდგომლობდა საბჭოს წინაშე, რომ შეწყდეს მონიტორინგის თაობაზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 21:00 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 21:06 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილ განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში წარმოდგენილი განცხადების, ადმინისტრაციული წარმოების მასალების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილ განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 27 ივნისის 21:09 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
თიკანაშვილი ნიკა